# საერთო გაზეთი

№26 (532) • 17 ივლისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა: დღეს თუ ბიძინა ივანიშვილს დათმობთ, ხვალ საქართველოს დათმობა მოგიწევთ...

## რეზო ამაშუკელი: თუ უნდათ ფაშისტი დამიძახონ, მაინც ვიტყვი: საქართველოში კაცების სამშობიარო არასოდეს გაიხსნება!





## ბესო მიქავა: 2008-ში მაკკეინს შევეწირეთ. ახლა ბაიდენს უნდა შევეწიროთ, რომელიც ხელისუფლებაში მოსაყვანად ბოკერიას ამზადებს?

- ჯო ბაიდენის აშშ-ის პრეზიდენტად მოსვლით, საქართველოში დამყარდება, პირდაპირ გეტყვით – მამათმავლების, ლესბოსელების და მათნაირების ხელისუფლება.
- მეუფე იაკობი, რომელიც თითქოსდა, პოლიტიკაში არ ერევა, ტელევიზიით აცხადებს – თუ გახარია პრემიერ-მინისტრი გახდება, მე იარაღს ავიღებ და დავამხობ.
- ფალავანდიშვილი, ვასაძე და მათი მეგობრები, ხაზარაძე-კვირიკაშვილი-მეუფე იაკობის დაჯგუფებას თანაუგრძნობენ.



ბატონო გიორგი, თქვენ კი არ უნდა გადადგეთ, გადააყენეთ „ნაცმოძრაობა“ და იქ მიაბრძანეთ, სადაც მათი ადგილია – ვირის აბანოში!



ეს იყო ნარკოტიკებით გაბრუებული, მთვრალი, გალეშილი ადამიანებისგან შემდგარი მასა, რომელსაც ვერაფერს ვაგებინებდით

# თუ უნდათ ფაშისტი დამიძახონ, მაინც ვიტყვი: საქართველო არასოდეს შეეგუება შარვალჩახდილ მამაკაცებს და აქ კაცების სამშობიარო არასოდეს გაიხსნება!






*გვესაუბრება პოეტი რეზო ამაშუკელი:*

**— ბატონო რეზო, ქვეყანაში საკმაოდ მწვავე ვითარებაა. უკვე 30 წელია ერთ წრეზე ვბრუნავთ, რეალობის დაუნახავობა ჩვევად გვექცა. გურამიშვილის სიტყვები მახსენდება: „თავსა თვისსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტიო“. რა დაგვემართა ქართველებს. რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი?**

— თქვენ, გურამიშვილის სიტყვები ახსენეთ, მე კი ილია ჭავჭავაძის სიტყვებით დავიწყებ საუბარს: იქნებ, ქართველმა პარლამენტარებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ახალგაზრდობამ დაიზეპირონ ილიას: „ბედნიერი ერი“. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! არ მიყვარს ხალხი, რომელიც სამშობლოს წინ იფარებს და გულის სიღრმეში ქართველობის ნატამალი არ გააჩნია. თქვენი შეკითხვის ექსკურსი შორს წაგვიყვანს. მინდა, ყურადღება დღევანდელობაზე გავამახვილო და პირდაპირ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. ასე დავიწყებ: პირველ რიგში, ენის მოჩლექვას და აქციაზე მდგომი ადამიანებისთვის გულანთებული ახალგაზრდების ძახილს, თავი უნდა დავანებოთ. ახალგაზრდობა, რომელიც გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომის გამო აღშფოთდა, აქციაზე მივიდა, დაინახა რაც იქ ხდებოდა და მაშინვე წავიდა. იქ, რაც დარჩა, ჩემი ლექსიკისთვის პატიებას ვითხოვ, მაგრამ არცერთი სიტყვა არ შემიცვალოთ, ეს არის ნაგავი. ჯერ ერთი იქ დგას ხალხი, რომელსაც ახალგაზრდობასთან არავითარი საერთო არ აქვს, — ან ნარკომანია უზნეო, ან ლგბტ-ს წარმომადგენელი, რომელსაც იმ შემთხვევაში არ ვერჩი, თუ თავისთვის არის. როცა ლგბტ პირი პოლიტიკაში მოძვრება და იმ საზიზღარ ორგანიზაციებს უერთიანდება, რომელთაც ჩემი ქვეყანა დაღუპეს, ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“ და „გირჩს“, ამაზე ვერ გავჩუმდები. ასევე, მათთან ერთად უნდა გამოვყო „თეთრი ხმაური“ ანუ „შავი ყრანტალი“. ეს, აბსოლუტურად, ერთი და იგივეა. გასაგებია, რომ რუსი ოკუპანტია, მაგრამ ბოდიშის მოხდით ვეკითხები საზოგადოებას: როდესაც ამდენი უსირცხვილო ადამიანი საზღვარს მიადგა, ჩაიხადა შარვლები და რუსებს უკანალი დაანახა, ამით რა გააკეთა? — შედეგად, მეორე დღეს, რუსებმა აქ, უბედურება დაგვმართეს. ამ ხალხს ტვინის ნატამალი არ გააჩნიათ. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს საქციელი გულანთებულ პატრიოტიზმზე მიუთითებს. გაიძახიან: მარიხუანასაც ვეწევით და არაყსაც ზედ ვაყოლებთო. ეს არის პატრიოტიზმი?!

**— ბატონო რეზო, ეს ადამიანები გახარიას გადადგომას ითხოვენ. რამდენად სწორი და სამართლიანია ეს მოთხოვნა?**

— დიახ, ახლა შეუჩნდნენ კაცს, რომლისთვისაც მე, ხელიც არ ჩამომირთმევია, პირადად არასდროს შევხვედრილვარ, მაგრამ **სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ: გახარიამ, მინიმუმ, ორჯერ საქართველო დიდ უბედურებას გადაარჩინა.** როცა საუბარია იმაზე უნდა დადგეს თუ არა გახარიას პასუხისმგებლობის საკითხი, ვპასუხობ: მისი პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგება იმიტომ, რომ რაც მან ჩაიდინა, აბსოლუტურად, ლეგიტიმური საქციელია, ეს ყველაფერი დასაშვები იყო. მერწმუნეთ, ამ მოთხოვნის გამჟღერებლებს ისე არ სტკივათ ის გაუბედურებული ბავშვი რომელსაც თვალი აღარ აქვს, როგორც მე და თქვენ. მათ, ეს უხარიათ. ეს მათი ყელყელაობის საბაბი, კოზირია და მეტი არაფერი, რასაც იყენებენ კიდეც, რაც ყველაზე დიდი უსირცხვილობა გახლავთ. დარწმუნებული რომ ვიყო რომელიმე მათგანს, რომ გული მართლა სტკივათ, რასაკვირველია, თანადგომას გამოვუცხადებდი. მაგრამ ყველაფერმა ჩემს თვალწინ ჩაიარა. ამ ასაკში კი საკმაოდ ძნელია რამე შემეშალოს და ვერ მივხვდე ჩემს გარშემო რა ხდება.

**— ბატონო რეზო, თქვენ წეღან „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები ახსენეთ. მათ პოზიციაზე ბევრი „გულანთებული პოლიტიკოსი“ გადავიდა, რომლებიც თავის დროზე ივანიშვილს სიკვდილამდე გვერდში დგომას ეფიცებოდნენ.**

— მოგახსენებთ. ცოტა ხნის წინ ტელეკომპანია „ობიექტივზე“ პირდაპირი ჩართვა მქონდა. იქ, ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: 300 კილოიანი კურდღელი ჯერ არ მენახა, მაგრამ ახლა, ვნახე. გუბაზ სანიკიძეს თავი მოაქვს, რომ ოჯახისშვილია, ისტორია კარგად იცის, მაგრამ მითხარით: რით განსხვავდება გიორგი გაბუნიასგან?! კი ბატონო, არც მე გადმომდის პირიდან შაქარყინული. ვიცი, ხანდახან, ჩემი ლექსიკა მიუღებელია, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ კაცთმოძულე და სასტიკი. მათ სამშობლო წამართვეს, თავმოყვარეობა შემილახეს, ყველაფერი ქართული წაშალეს — აი, ამ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ როდესაც ამა თუ იმ პირზე ვსაუბრობ, შემიძლია დავასაბუთო, რომ მის მიმართ მართალი ვარ.

დავუბრუნდეთ, გუბაზ სანიკიძეს. მას ვეკითხები: რა გაყვირებს, ბიძია? იმიტომ ყვირიხარ, რომ არ ხარ სუფთა, ხომ. მასთან ურთიერთობას სულ ვერიდებოდი, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ახლა, გია ხუხაშვილი ავიღოთ ფერმის სირაქლემას რომ ჰგავს, ტელევიზიიდან ტელევიზიაში მეძავი ქალივით დაათრევენ. სანამ ბიძინასთან იყო, ხომ კარგად ჟღურტულებდა. ამ ხალხს პანღური ამოჰკრეს და მე თუ მკითხავთ, ღირსეულადაც. როცა ვამბობ: ბიძინა ივანიშვილის გვერდით ვდგავარ-მეთქი, ამის საკმაო საფუძველი მაქვს. თუ ვინმემ არ იცის, ახლა ვეტყვი: ივანიშვილი სიკვდილს გადაურჩა. მაშინდელ ამერიკის ელჩს 15 წუთით რომ დაეგვიანებინა, „ნაციონალები“ მის მთელ ოჯახს ამოწყვეტდნენ. სწორედ, იმ 15 წუთმა იხსნა ბიძინა ივანიშვილის ოჯახი. თუმცა, აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ივანიშვილმა უდიდესი შეცდომა დაუშვა. შეცდომები ბევრი იყო. მე, უკან არასდროს დამიხევია და ყველაფერი პირში მითქვამს. გეტყვით უმთავრესს: პირველი დიდი შეცდომა იყო ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა მორგიდან, პროზექტურიდან გამოათრია „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც ყინულში იყო და გააცოცხლა. ეს პარტია ქვეყნის გამოხატული მტერია მთელი თავისი ბიოგრაფიითა და არსებობით. ასე, რომ ქვეყანას მტრები არ აკლია. კიდევ, არსებობს ასეთი ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომელიც გველების საბუდარია. დაწყებული უსუფაშვილიდან, რომელიც „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღიდან“ მარცხნიდან მეექვსე ყაჩაღს ჰგავს, სალაძით დამთავრებული, რომელიც გაჭყლეტილ მუხუდოს ჰგავს, ესენი, ყველა, სოროსის მატლები არიან. თუ გახსოვთ, ერთადერთხელ წამოჰყვეს თავი საყდრისის თემასთან დაკავშირებით, ისიც იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის დაერტყათ. ვინმე თუ მეტყვის, რომ ნინო ლომჯარიას ოდესმე, დასცდენია ფრაზა, რაც ქართულ სახელმწიფოს დაიცავდა, ბოდიშს მოვიხდი. იგივე, ითქმის კოჟორიძეზეც და ა.შ. ახლა, ნურც ყოფილი პრეზიდენტი — გიორგი მარგველაშვილი გამოგვრჩება. ამ დებილს რამდენიმე ტიტული მივანიჭე: კარალევა მარგო, მთავარსარდელი, ტროას ძროხა და სხვა. ყველაფერმა რომ ჩაიარა, ვამბობდი: იქნებ, არ ღირდა-მეთქი, მაგრამ დღეს დავრწმუნდი, რომ თავის უსაქციელო ცოლთან ერთად მეტის ღირსი იყო. ქართველი მამაკაცი რომ გამოვა და საქვეყნოდ გამოაცხადებს: მდიდარი სექსი მაქვსო, რაღაზე უნდა ელაპარაკო. ახლა, წარმოიდგინეთ, ქართველი ადამიანის ფანტაზიაში რამდენი რამ შეიძლება ჩამოყალიბდეს. იგი, უთავმოყვარეო გახლავთ. ორივე ცოლ-ქმარი აქციაზე მორფინისტებთან, იქაურ ნაგავთან დადგა და ღლიცინი დაიწყო. აი, ეს ვართ ჩვენ, ქართველები. სამწუხაროდ, ჩვენ ფარისევლები გავხდით, ეკლესიაში სხვის დასანახად დავდივართ და ღმერთი მხოლოდ მაშინ გვახსოვს თუ გვიჭირს, ხოლო როცა კარგად ვართ, ვიღაცას ვლოშნით ან შემწვარ ერკემალს მივირთმევთ და ვლოთობთ, ღმერთი არ გვახსოვს. არ ვიცი ადამიანი, რომელსაც გაუჭირდება და ათეისტიც რომ იყოს, მუხლებზე არ დავარდეს და ღმერთო მიშ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.















ველეო არ თქვას, მაგრამ ამის უფლება უნდა გვქონდეს.

**— ბატონო რეზო, სიტუაციის დაძაბვაში, ასევე, პროვოკაციების მოწყობაში დიდ როლს ასრულებენ რიგი ტელევიზიები, უშუალოდ, ჟურნალისტები. ამ საკითხზე, რა აზრის ხართ?**

— ხმამაღლა ვაცხადებ: ჩვენი ქვეყნის უბედურებაში იმ გარეწარ პოლიტიკოსებთან ერთად, ვინც სამშობლოს ანადგურებდა, ანგრევდა და დღესაც იგივეს ცდილობს, სრული მონაწილენი თუ მეტი არა, იგივე, დამნაშავენი ჟურნალისტების ის ნაწილია და მე, ვიტყოდი ძალიან დიდი ნაწილი, რომლებიც ასევე, მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ქვეყნის ნგრევასა და გადატრიალებაში. ამ ჟურნალისტების სახე „რუსთავი-2"-ის მოცეკვავე გაფრინდაშვილია. საერთოდ, მკითხველს რომელმაც ჩემზე უკეთ იცის ყველაფერი ის, რასაც ახლა ვამბობ, ვურჩევ: თითოეულ მათგანს გარეგნობაზე დააკვირდეს, რამეთუ, ადამიანის სიბილწე მისი სულიდან იწყება, რაც უეჭველად, მის გარეგნობაზე აისახება. ასევე, ჩვენი ქვეყნის მტრები აქაური, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იკვებებიან, რომლებიც უნდა მოვიკვეთოთ, სხვაგვარად სამოქალაქო საზოგადოებას არაფერი ეშველება. ძალიან კარგად ვიცი, რასაც ელოდება 18 ივლისს, „რუსთავი-2". თქვენთან როგორც ქალბატონთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა ვთქვა: ამ ოთხ დედაკაცს — გვარამიას, გაბუნიას, კვესიტაძესა და ნოდარიკო მელაძეს მენსტრუალური კრუნჩხვები აქვთ. ეს, აუცილებლად, ჩამიწერეთ. არცერთი ადამიანი არ არის. მათ, ნელ-ნელა, თავისი აპარატურა სხვადასხვა ტელევიზიებში გადაიტანეს. რა ხდება შოუებში?! პირველ რიგში, ავიღოთ, ეს გარყვნილი, უსაქციელო „კომედი შოუ", სადაც მამალი ქალები გამოდიან, რას ჰგავს ეს? მათ, ქართველების გემოვნება ნულზე დაიყვანეს. ვის დასცინიან? ვინ არის ვანო ჯავახიშვილი? ესენი, ყველანი, ფულზე გაყიდული იდიოტები არიან. მათი არ მეშინია. არც სხვა ტელევიზიებია ნაკლები. ავიღოთ, „ტვ-1", რომელსაც „ტვ პირველი" დავარქვი. ისინი, ყველანი, პირველები არიან. „რუსთავი-2", მათთან შედარებით, უკვე, „ბასტი-ბუბუ" გახდა. დანამდვილებით მინდა გითხრათ: „ტვ პირველი" დღეს გამოხატული მხარეა. გადავხედოთ მათ შემადგენლობას: მთავარი დირიჟორი ინგა გრიგოლია, ვახო სანაია, ნინო ჟიჟილაშვილი, დიანა ტრაპაიძე, თამარ ჩიხლაძე, თამარ ჩერგოლეიშვილი, რატრატი ამაღლობელი, გია ხუხაშვილი და რაც მთავარია მუდმივი, მოწვეული სტუმრები. თუ ეს თაიგული ნეიტრალურია, მე, აღარაფერს ვიტყვი, განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია. ბევრი რესპონდენტი გრიგოლიას ჩემო ინგაო — ასე მიმართავს იმიტომ, რომ ყველაფერი ამ ქალის ხელშია — რასაც უნდა იმას გაგივრცელებს. მე, ამას ვერ გამიბედავენ იმიტომ, რომ ომი ბოლომდე ვიცი და ყველას ბიოგრაფია ხელის გულზე მიდევს. გრიგოლია ყოველთვის თავს მესხმოდა. რა აღარ მომიწყვეს. მათ, არაფერს ვაპატიებ. ზოგიერთს ჟურნალისტი რახან დაარქვეს, თავი დიდი ვინმე ჰგონია. მთელი ჩემი ცხოვრება ჟურნალებში ვმუშაობდი: „მნათობში", „ცისკარში", „ლიტერატურულ საქართველოში". ჟურნალისტობა — ეს მხოლოდ ხელობა არ არის. ჟურნალისტს საზოგადოებამ უნდა მიბაძოს. მან ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს. თავხედი, შინაგანად გარყვნილი, ლაპარაკის გარდა, ქართული არაფერი გააჩნიათ, ათას ღობეზე გადამხტარნი და უწიგნურნი — ათიდან ცხრა ასეთი ჟურნალისტია. ყველას შეურაცხყოფას არ მივაყენებ. მე, მყავს ძალიან კარგი მეგობარი ჟურნალისტები, რომლებიც ჩემი ღვიძლები არიან და პატივს ვცემ. მაგრამ სანამ იქნება „რუსთავი-2", „პირველი", „კავკასია", „ტაბულა", არაფერი გვეშველება. ავიღოთ, ეს ცოლის მონა აქუბარდია. ზუსტად ისე ჩაწერეთ, როგორც ვამბობ: პირველმა ცოლმა, ბოდიში გამოთქმისთვის, უკანალში დაჭრა. ახლა, მეორე ცოლი კიდევ მაგის უფროსია და მგონი სცემს კიდეც. მათ ნამუსის ნატამალი არ გააჩნიათ. გამონაკლისი არც „ტაბულას" უბინძურესი „მძიმე კაცი" — კოვზირიძეა, რომელსაც ფეხმძიმე კაცი შევარქვი. ასე გახსნილად იმიტომ ვსაუბრობ, რომ ამ საკითხზე ღიად უნდა ვიმსჯელოთ. მოდით, თავი დავანებოთ ამ დემოკრატიობანას თამაშს. ნურავის ველაქუცებით. სამშობლო იკარგება. დამისახელეთ, დედამიწაზე ერთი წერტილი — ქალაქი, სოფელი ან სახელმწიფო, სადაც ხუთი წუთით მაინც ყოფილა დემოკრატია იმ შეფუთვით, რასაც გვაწვდიან. სად არის ეს დემოკრატია, რა თავში ვიხალო თუ სამშობლო აღარ მექნება?! ერთი მეცნიერი, რომელსაც პატივს ვცემდი ყოველთვის მეუბნებოდა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო, რაშიც როგორც ქრისტიანი კაცი ვეთანხმებოდი. მაგრამ დღეს, იმ მდგომარეობაში ვარ, რომ ჩემს სამშობლოზე მაღლა არაფერი აღარ დგას. თუ უნდათ ფაშისტი დამიძახონ, რაც უნდათ ის დამარქვან, მაგრამ საქართველო არასოდეს შეეგუება შარვალჩახდილ მამაკაცებს და აქ, კაცების სამშობიარო არ გაიხსნება, რაც მათი დიდი სურვილია. აქვე, ისევ, გახარიას გადადგომაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა: თუ გახარია გადადგება, ეს სახელმწიფო ნული ყოფილა, პირდაპირ ასე ჩაწერეთ. მე, ბოლომდე ვიდგები ბიძინა ივანიშვილის გვერდით იმიტომ, რომ გამქცევ-გამომქცევ ხალხს პატივს არ ვცემ. უდანაშაულო არავინ არის, მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქეთ-აქეთ მორბენალი კაცი არასდროს ვყოფილვარ. ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებაზე ლაპარაკიც კი უხერხულია. ესენი შვილს არ მისცემენ თუმანს და ძმას ლუკმას არ გაუყოფენ. ფული, რომელიც სახლში აქვთ დაგროვილი არ გამოაქვთ და იმ გიჟ-გადარეულს ეხვეწებიან გამოგვიგზავნეო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სანამ არასამთავრობოები ისევ იპარპაშებენ, **სანამ მასმედია ასე თავაშვებული, უსაქციელო იქნება, არაფერი გვეშველება. ეს მასმედია რომ არა, საქართველო ბევრ უბედურებას აიცილებდა თავიდან — ამას პირდაპირ ვაცხადებ.** ამიტომ, ერი, ბერი, ხელისუფლებაც უნდა გაერთიანდეს. ერთხელ პატრიარქმა მკითხა: მთიდან დიდი ლოდი რომ დაგორდეს ხელებით გააჩერებო. ვერა-მეთქი — ვუპასუხე, მაგრამ თქვენო უწმინდესობავ, იმის საშუალება ხომ უნდა ვიპოვოთ, რომ ოდნავ გავიწიოთ და ამ ლოდმა ჩაგვიაროს. მას ჩვილი ბავშვივით ჰყავს საქართველო ხელში აყვანილი. დღეს, სამშობლო არის ბავშვი, რომელსაც პატრონობა უნდა, ისევე როგორც შვილს. ყველას, ამ ბავშვის გაგლეჯვა უნდათ, ბრეხტის ჰგონიათ, მაგრამ ეს სოლომონის ცარცის წრეა. როცა რობერტ სტურუას — ამ დონის ხელოვანს მიადგები და შეურაცხყოფას მიაყენებ, მაშინ ერი აღარ ხარ და მართლაც იმის ღირსი ხარ, რომ ჯაჯოს — ჯაჯანიძეს, ამ კოსმიურ აფერისტს და ვანო ჯავახიშვილს უყურო.

**ბოლოს, მინდა ასე დავამთავრო: ყველამ ვინც პოლიტიკაშია, ვინც ამბობს, რომ პატრიოტია, სამშობლო უყვარს ერთი რამ გაითვალისწინოს: მზად იყვნენ საკუთარი ქვეყნისთვის თავი მორზე დადონ და ნაჯახს ელოდონ.** ფრთხილად ვიყოთ, „თეთრი დათვი" არ გავაღიზიანოთ. ყველას ვურჩევ — დიდს, პატარას, პრეზიდენტს, უცხოელს, პოლიტიკოსს თუ სხვას: ჩემი ისტორიის რევიზიას ნუ დაიწყებენ. იმიტომ, რომ ამ ისტორიაში ბევრი ცუდი დღეებია, რისიც მრცხვენია. მაგრამ ჩემს ისტორიას ხელს ნუ ახლებენ. ჩემი კულტურის გარეშე მსოფლიო კულტურას ვერავინ განიხილავს — ვერც რომი და ვერც საბერძნეთი. რუსული სახელმწიფო ორმა ქართველმა შექმნა — პეტრე I და სტალინმა. დღეს, არ არის იმის დრო, რომ ჩვენ, ერთმანეთს რაღაცები წამოვაძახოთ. იმიტომ, რომ არც ჩემი ახლო მეზობელი მინდობს და არც არავინ. ჩემთვის ამერიკაც, რუსეთიც და თურქეთიც იმპერიაა. არცერთი მეზობელი ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. ბეწვის ხიდზე უნდა ვიაროთ, წელებზე ფეხი დავიდგათ და ყველა სიტუაციიდან გამოვადნოთ ის მდგომარეობა, რათა ბიოლოგიურად გადავრჩეთ. ქვეყანა, ბიოლოგიურად, გადასარჩენია. მტრისას და ავისას, ირანში რომ რამე მოხდეს, აქ წაგვლეკავენ. გაიარეთ, რა ხდება ალმაშენებელის ქუჩაზე. ასე, რომ როგორც ჭაბუა ამბობდა: ჭკუთ, ქართველებო!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24











# 2008-ში მაკკეინს შევეწირეთ. ახლა ბაიდენს უნდა შევეწიროთ, რომელიც ხელისუფლებაში მოსაყვანად გიგა ბოკერიას ამზადებს?

**● აშშ-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს საქართველოში თავის დასაყრდენად გიგა ბოკერია ჰყავს.**

**● ჯო ბაიდენის აშშ-ის პრეზიდენტად მოსვლით, საქართველოში დამყარდება, პირდაპირ გეტყვით – მამათმავლების, ლესბოსელების და მათნაირების ხელისუფლება.**

**● მეუფე იაკობი, რომელიც თითქოსდა, პოლიტიკაში არ ერევა, ტელევიზიით აცხადებს – თუ გახარია პრემიერ-მინისტრი გახდება, მე იარაღს ავიღებ და დავამხობ.**

**● ფალავანდიშვილი, ვასაძე და მათი მეგობრები, ხაზარაძე-კვირიკაშვილი-მეუფე იაკობის დაჯგუფებას თანაუგრძნობენ.**



***გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი „იბერიულ კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბესო მიქავა***

**— ბატონო ბესო, თქვენ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის მიმდებარედ გამართულ აქციაზე ანტისაოკუპაციო პროტესტის პარალელურ აქციაში იღებდით მონაწილეობას. მერე პოლიციის გამოყენებით თქვენ იქიდან გამოგიყვანეს. რას იტყვით ამ მოვლენებთან დაკავშირებით?**

— მოდი, თქვენი ნებართვით, ისევ ჩემს ძველ ინტერვიუს დავუბრუნდები, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდა დაახლოებით, წელიწადნახევრის უკან. ალბათ, ყველას გაუკვირდება, მაგრამ მე



მაშინ ზუსტად ჩამოვაყალიბე, რაც უნდა მომხდარიყო და ჩამოვაყალიბე მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის გეგმა.

ახლა უფრო კონკრეტულად — ერთი თვის წინ „ასავალ-დასავალში“ დავბეჭდე ინტერვიუ, სადაც ვამბობდი, რომ **აშშ-ის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს საქართველოში თავის დასაყრდენად გიგა ბოკერია ჰყავს,** რომელიც ახლა პარლამენტის წინ ანტისაოკუპაციო მიტინგს ხელმძღვანელობს. ბაიდენი ბოკერიას ხელისუფლებაში მოსაყვანად ამზადებს. ეს ის სტუდენტი ბოკერიაა, რომელიც 19 წლის ასაკში ებრძოდა კანონიერ ხელისუფლებას და მის მომხრეებს ფიზიკურად უსწორდებოდა. უფრო მეტიც, მან მხედრიონელებთან ერთად უფლება დამცველი ვალერია ნოვოდვორსკაია წიხლით ცემა უნივერსიტეტთან. ის ეხლა არის ჯო ბაიდენის პირადი წარმომადგენელი საქართველოში.

**— რას ფიქრობთ, თუ ასეა, რატომ დადეს ფსონი მაინცდამაინც გიგა ბოკერიაზე?**

— გიგა ბოკერია ვერ იტანს მართლმადიდებლობას. ის ხელისუფლებაში მოჰყავთ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაშალონ და გაანადგურონ მართლმადიდებლობის ციტადელი საქართველოში.

**— გახარიას გადადგომასთან ყველაფერ ამას რა კავშირი აქვს?**

სწორედ ეს შეკითხვა დასვა საჯაროდ ბატონმა მიხეილ ცილიკაშვილმა.

„გახარია რომ გადადგეს ანტიოკუპაციის მიტინგს რატომ წყვეტთ, გახარიაა ოკუპანტიი?“

— გახარიას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეკონომისტი გახარია შს მინისტრად დანიშნეს.

„ბასიანის“ აქციები, პანკისის თემაც გახარიას წინააღმდეგ იყო მიმართული, რომ ის მოეშორებინათ, რომ დაესაჯათ, რაც მან ხაზარაძეს და კვირიკაშვილს დამართა — არ შეუწყო ხელი ანაკლიის პორტის საკითხებში, თუმცა აქ მარტო ანაკლიაზე არაა საუბარი. საუბარი იმაზეა, რომ ეს ადამიანი ჩემი აზრით, მოქმედებს არა ვინმეს დავალებით, არამედ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იღებს.

**ყველას გვახსოვს, რომ იყო საუბრები გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ, მაგრამ სწორედ იმ ხანებში მეუფე იაკობი, რომელიც თითქოსდა, პოლიტიკაში არ ერევა, ტელევიზიით აცხადებს თუ გახარია პრემიერ-მინისტრი გახდება, მე იარაღს ავიღებ და დავამხობო.**

მეუფე იაკობის და კვრიკაშვილის მეგობრობის შესახებ უკვე გელაპარაკეთ. მან მოუგვარა საკითხები კვირიკაშვილს, რომ არ დაეჭირათ. მეუფე იაკობი, კვირიკაშვილი და ხაზარაძე არიან ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მიდიან, ოღონდ გიორგი გახარია მოიშორონ. მასზე ნადირობა მიდის. ამ კლანს შეუერთდა ბოკერია თავისი ინტერესებით. მელია და კვირიკაშვილი ისედაც დდი ხნის მეგობრები არიან. ამ „შაიკას“, გაგიკვირდებათ და, დაემატა ლევან ვასაძე და მისი ჯგუფი. ეს დადასტურდა კიდევაც 9 ივნისს, როდესაც გურამ ფალავანდიშვილმა, ლევან ვასაძემ და სხვებ-



მა მომიტინგეები დატოვეს. ცოტა ხანში კი ბატონი გურამი მობრუნდა და გვითხრა მე ჩემი ხალხით გახარიას წინააღმდეგ ანტისაოკუპაციო აქციას ვუერთდებიო და ჩვენც მოგვიწოდა შეერთებისკენ. ეს რომ ვერ მოახერხა მერე გვითხრა მეუფის კურთხევაა, რომ დავიშალოთ რათა ხელი არ შევუშალოთ ბოკერიას აქციასო. მე საჯაროდ ვუპასუხე, რომ **ოკუპანტები ოკუპაციის წინააღმდეგ როგორღა იბრძვიან**. კერძოდ პუტჩისტი და ოკუპანტი ბოკერია, ბარამიძე და ძმანი მისნი 1991 წელს რუსის ტანკით და ევროამერიკულ იმპერიის ბრძანებით ამხობდნენ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას!

სიტუაცია რომ აირია, მე ხალხი დავაწყნარე და ვთხოვე პარლამენტის წინ კიბეებზე გაგვეგრძელებინა აქცია მოთხოვნით: დაწყებულიყო გამოძიოება იმ პირების მიმართ, რომლებმაც 1991–92–93 წლიდან დღემდე მიიღეს მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია ანექსიაში, პასუხისგებაში მიეცათ ბოკერია ბარამიძე და სხვა პუტჩისტები. ამ მოთხოვნის გაჟღერებისთანავე პოლიციამ დაიწყო ჩვენი ძალით გაყვანა.ე.წ. ანტისაოკუპაციო აქციის წევრებს, პირიქით, იცავდა პოლიცია, ჩვენ ბუნებრივი მოთხოვნილებისთვის არ გვიშვებდნენ — გახვალთ და უკან ვეღარ შემოხვალთო, გვეუბნებოდნენ.

იქ შექმნილი სიტუაციიდან, მოვლენებიდან და საკუთარი ანალიზიდან გამომდინარე, შემიძლია თამამად ვთქვა: **ფალავანდიშვილი, ვასაძე და მათი მეგობრები, ხაზარაძე-კვირიკაშვილი-მეუფე იაკობის დაჯგუფებას თანაუგრძნობენ. გიორგი გახარია, ნებსით თუ უნებლიედ, ეწინაღმდეგება მათ ძალაუფლებისა და ქვეყნის ეკონომიკის ხელში ჩაგდების მიზნებს.**

დღეს მათი მიზანია, მიტინგები გაგრძელდეს და პროვოკაციებიც გახშირდეს.

ზვიად გამსახურდია, 1991 წლის ოქტომბერში, როდესაც პუტჩი დაიწყო, არ დაელოდა პროკურატურის გამოძიებას, მან მოსთხოვა პარლამენტს მომხდარისთვის მიეცა პოლიტიკური შეფასება.

გახარია გაიძახის, სახელმწიფოს ექნება პრობლემაო და პარლამენტი ხმას არ იღებს.

გიორგი გახარიამ გადაწყვიტა, პარლამენტში სხდომაზე სიტყვით გამოსვლა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ყველამ დავინახეთ, ნაცების ბოიკოტმა ეს გამოსვლა ჩაშალა. თუ „ქართული ოცნებაა“ და თუ „ქართული ოცნების“ მინისტრის მისვლა-არმისვლას პარლამენტში ნაციონალები წყვეტენ ე.ი. ნაცები ყოფილან ხელისუფლებაში და ჩვენ ვერაფერი გაგვიგია დღემდე.)

ჩემის აზრით გახარიამ ისევ უნდა მიმართოს პარლამენტს, რათა პარლამენტმა მისცეს პოლიტიკური შეფასება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს.

ახლა მიმდინარეობს შიდა ბრძოლა. ჩასაფრებულია ორივე მხარე — ვინ დაუშვებს შეცდომას. გახარია თუ გადადგა, მას დასჯიან, როგორც მოღალატეს.

**ყველას გვახსოვს, არჩევნების წინ რა შეფასება მისცა ბიძინა ივანიშვილმა ზვიად გამსახურდიას. მე მაშინ ვთქვი, ეს ძალიან ძვირად დაუჯდება ბატონ ბიძინას-მეთქი და ასეც მოხდა. მასაც აუმხედრდა ის კორუფციული ელიტარული ნომენკლატურა, რომელმაც დაამხო ზვიად გამსახურდია.**

გიორგი გახარია იყო პირველი მინისტრი რომელმაც ზვიად გამსახურდიას ბიუსტი ზუგდიდში ყვავილებით შეამკო.

აქედან გამომდინარე, ე.წ. პუტჩისტურმა ელიტამ იგრძნო საშიშროება, რომ მალე შესაძლებელია 1991–92–93 წწ. მოვლენებს მიეცეს ობიექტური პოლიტიკური შეფასება. თბილისში, მოსალოდნელია, ზვიადის და მერაბის ძეგლი დაიდგას. ამის შესახებ, სხვათა შორის, თქვენმა გაზეთმა გააჟღერა პირველად.

6 გვ. →

# კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა: დღეს თუ ბიძინა ივანიშვილს დათმობთ, ხვალ საქართველოს დათმობა მოგიწევთ აუცილებლად

**ვახტანგ ხარჩილავა:**

— 27 დღეა, ეს აქციები გრძელდება... რატომ არ ჩნდება ბიძინა ივანიშვილი და რატომ არაფერს ამბობს? — საყვედურობენ აქციის მონაწილეები და მათ ზურგს ამოფარებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ბიძინა ივანიშვილს.

რა უნდა თქვას იმ ქვეყნის შემყურე ბიძინა ივანიშვილმა, სადაც ამდენი პროვოკატორი, ამდენი მოღალატე, ამდენი შლეგი და არამზადა ცხოვრობს?

რა აზრი აქვს ან თქმას ან არათქმას იმ ქვეყანაში, სადაც აწონილ-დაწონილი, გონივრული, წინდახედული სიტყვის მთქმელს ნაკლებად უჯერებენ, სამაგიეროდ, ავანტიურისტებს, ფარისევლებს, პროვოკატორებს ჟივილ-ხივილით და ვაშას ძახილით გაეკიდებიან უკან, რომ იმავე ორმოში ჩავარდნენ, საიდანაც ეს-ესაა, ამოფორთხდნენ.

თითქოს ერთსა და იმავე ორმოში ჩავარდნის და მერე იქიდან ამოფორთხების უწყვეტ რეჟიმში ვცხოვრობთ და ეს სადომაზოხისტური პროცესი ძალიანაც მოგვწონს.

რა აზრი აქვს რაიმეს თქმას იმ ქვეყანაში, სადაც 30 წელია, ერთი და იგივე შეცდომას იმეორებენ და ამ შეცდომებისგან ვერაფერი უსწავლიათ.

რა აზრი აქვს რაიმეს თქმას ან არათქმას იმ ქვეყანაში, სადაც ვითომ ოკუპანტს და ოკუპაციას ებრძვიან, ამ დროს 800 000 კაცი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ხმას ამ ოკუპანტი სახელმწიფოს ძუძუთი გაზრდილ მაღალჩინოსანს, ფაქტობრივად, რუს პოლიტიკოსს აძლევს?

რითი და რანაირად, რა ლოგიკით შეიძლება ამის ახსნა? ჩვენ რა, გონებასუსტ, გონებაჩლუნგ ერად გვთვლიან, რომელიც ვერ აზროვნებს, რომელიც შავსა და თეთრს ერთმანეთისგან ვერ არჩევს და რომელსაც ერთი და იგივე სპექტაკლი ასჯერ შეიძლება დაუდგა და მაინც ვერ მიხვდეს, რა თამაშს ეთამაშებიან პოლიტიკური თეატრის სცენიდან თვალთმაქცი აქტორები და გაიძვერა რეჟისორები?

30 წელია, გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! აკომპანიმენტის ქვეშ ხმის ჩახლეჩამდე ვყვირით, რომ თავისუფლება გვინდა, დამოუკიდებლობა გვინდა! ოკუპანტი და დამპყრობელი არ გვინდა! მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთ წელიწადში, ქართველთა ერთი ნაწილი, იარაღის გამოყენებით დაამხო რა კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება, თვითონვე იქცა საკუთარი ქვეყნის დამპყრობლად და ოკუპანტად.

2012 **წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხთან ერთად თითქმის შეუძლებელი შეძლო და წარმოუდგენლად რთულ და მძიმე არჩევნებში დაამარცხა „ნაცმოძრაობა“ და ამით დაასრულა „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი რეჟიმი**, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სააკაშვილი შევარდნაძის პირდაპირი სამართალმემკვიდრეა, მან ამ ცხრაწლიან რეჟიმთან ერთად დაასრულა შევარდნაძის არანაკლებ კრიმინალური მმართველობის ათწლიანი პერიოდიც.

ძალა, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, ფაქტობრივად, ეს იყო **ახალი ეროვნული მოძრაობა ახალი საქართველოსთვის**, რომელმაც წერტილი დაუსვა შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის შავბნელ, ანტიქართულ 19-წლიან (10+9) მმართველობას.

აი, ეს, უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსთვის და ეს გაკეთდა დიდი თავგანწირვის, დიდი თავდადების, დიდი რისკის ფასად.



ეს არის ის მთავარი სიტყვა, სეფე სიტყვა, საქმეში და მოქმედებაში გარდასახული, რაც ბიძინა ივანიშვილმა უთხრა საქართველოს.

უფრო დიადი და უფრო მნიშვნელოვანი სხვა რა უნდა გაეკეთებინა და რა უნდა ეთქვა ერთ კაცს თავისი სამშობლოსთვის, მაგრამ რა აზრი აქვს რაიმეს გაკეთებას და რაიმეს თქმას იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის ლამის მეოთხედს უმადურობის ლიბრი გადაჰკვრია თვალებზე და უმადურობით დაბრმავებული და გონარეული ვერაფერს ხედავს.

ყველაზე დიდ შეცდომად ბიძინა ივანიშვილს კოჰაბიტაციას უთვლიან, როგორ შეიძლება კაცი ქრისტიანული მიმტევებლობისა და დიდბუნებოვნების გამო გაამტყუნო და ეს სიტყვები: ჩვენ ყველანი ამ ქვეყნის შვილები ვართ, ყველანი ქართველები ვართ — შეცდომად ჩაუთვალო, თუმცა, მაინც არის ამ პოზიციაში რაღაც სადავო და საკამათო.

საქმე ისაა, რომ ადამიანი შეიძლება გვარ-სახელით ქართველი იყოს, მაგრამ თავისი საქმიანობით, თავისი ქმედებებით საქართველოს მტერი იყოს.

სამწუხაროდ, ღალატით, ქვებუდანობით, ორპირობით სავსე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

ციხის შიგნიდან გამტეხების მთელი არმია დაძრწის დღესაც ჩვენი ქალაქების ქუჩებში, ჩვენს სოფლებსა თუ დაბებში.

ციხის შიგნიდან გამტეხებითაა სავსე ჩვენი ე.წ. პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, რომლებიც ხან დემოკრატიული ღირებულებების სახელით, ხან სიტყვის თავისუფლების და ადამიანთა უფლებების დამცველთა სახელით შიგნიდან ანგრევენ ქვეყანას.

ეს დივერსიული ჯგუფებია, ეს მეხუთე კოლონაა, ეს აგენტურაა. ერთი კი არა, ბევრი სხვა ოკუპანტიც დათარეშობს საქართველოში — ზოგი თუ ტერიტორიებს გვართმევს, ზოგიც ჩვენი სულების, ჩვენი სულიერი ფასეულობებისა და ღირებულებების, ჩვენი მეობისა და იდენტობის ოკუპაციას ცდილობს.

რომელია ამ ოკუპანტებიდან ქვეყნისთვის უფრო სახიფათო და საშიში, ამაზე დიდმა ილიამ საუკუნის წინათ გასცა პასუხი.

●

დავით აღმაშენებელს, რომელმაც თბილისი არაბთა სამასწლოვანი უღლისგან გაათავისუფლა, ქართველი დიდგვაროვნები აუჯანყდნენ.

მიზეზი ერთი იყო — ეს ქართველები ამ სამასი წლის განმავლობაში ისე შეეხმატკბილნენ დამპყრობელ არაბებს, ისე სარფიანად და მომგებიანად ისწავლეს დამპყობელთან თანაცხოვრება, ისე გაუტკბათ მსუყე და მაძღარი მონობა, რომ თავისუფლება, რომელიც მათ მაძღარ მონობას დანგრევით დაემუქრა, მტრულად და აგრესიულად მიიღეს.

მათ სძულდათ დავით აღმაშენებელი, საიდანღაც დასავლეთიდან ჩამოსული ეს არამკითხე გამათავისუფლებელი, თუმცა ამ სიძულვილისთვის არც აღმაშენებელს უპასუხია კოაბიტაციით...

**შევარდნაძის და სააკაშვილის „ამირობა-არაბობის“ დროს გადიდკაცებულ და ჩამაჟუთებულ ელიტას, როგორც პოლიტიკურს, ასევე ინტელიგენციას, არ უყვართ ბიძინა ივანიშვილი და არც არასოდეს ჩათვლიან მას თავისიანად, რადგან, სინამდვილეში, მათ არასოდეს ყვარებიათ და არც ახლა უყვართ საქართველო. მათ უყვართ მხოლოდ საკუთარი თავი და, აქედან გამომდინარე, მათთვის უცხო და გაუგებარია ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნისთვის აკეთებს.**

თბილისური ბომონდი, თბილისური „სვეწკი“ საზოგადოება, თავისი არსით ღრმად პროვინციალური, მეშჩანური და მედროვე, თუ დააკვირდებით განზე დგას ქვეყანაში მიმდინარე საშიში და სახიფათო პროცესებისგან მათ მოთვალთვალე და მოყურადე პოზიცია უკავიათ, რომ ხელსაყრელი მომენტი არ გამოეპაროთ და ერთი ნავიდან მეორე ნავში გადახტომა არ დააგვიანონ. ზოგი უკვე გადახტა, ზოგიც ნაბულზე დგას და შესაფერის დროს ელოდება.

●

როგორ შეიძლება, ეს ქვეყანა აშენდეს, როდესაც ერთი ქართველი რომ აშენებს, მეორე ანგრევს, მესამე ქვეყნის დასასმენად და ჩასაშვებად უცხოეთში გარბის,

6 გვ. →









# 2008-ში მაკკეინს შევეწირეთ. ახლა ბაიდენს უნდა შევეწიროთ?..

4 გვ.

ამიტომაც „ლიტერატურულ საქართველოში“ ძალიან ბინძური წერილი დაიბეჭდა „ნასედკა“ ვიქტორ რცხილაძესი არა მარტო ზვიად გამსახურდიას, არამედ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ,

დღეს ასეთი სიტუაციაა — ბატონ ბიძინას და გიორგი გახარიას აქვთ შანსი დარჩნენ ისტორიაში გმირებად, დარჩნენ.

მათ უნდა გააკეთონ ის, რაც თავის დროზე გააკეთა „კომუნისტმა“ ნოდარ ჭითანავამ და დაამტკიცა, რომ იყო და არის დიდი ადამიანი და დიდი ქართველი და ასეთად რჩება დღემდე.

იმას თუ გაიმეორებენ ესენი, ერთი ხელის მოსმით ყველა ნაგავს ჩამოიშორებენ.

**— რა გააკეთა ასეთი ნოდარ ჭითანავამ?**

— ნოდარ ჭითანავამ 1990 წლის 19 აგვისტოს ფერიცვალების დღეს აღიარა, რომ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველო იყო ოკუპირებული და ანექსირებული. ეს, ბატონი ნოდარ ჭითანავასა და სხდომის მდივან ვახტანგ კვარაცხელიას მიერ ხელმოწერილი დადგენილება, 1990წელს გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში. ამით წერტილი დაესვა საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის არსებობას ღვთივკურთხეულ საქართველოს მიწაზე. ამ დღეს ბატონმა ზვიადმა კომუნისტების ფერისცვალება უწოდა. ამის შემდეგ, ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა პარიტეტულ საფუძველზე არასაბჭოური, დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნები.

**— ვინ იყო მაშინ ნოდარ ჭითანავა?**

— ეს ადამიანი იმ წლებში იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ამ გადაწყვეტილებით, 70 წლის განმავლობაში დადებული ყველა ხელშეკრულება, რაც საბჭოთა საქართველოს სახელით დაიდო, ავტომატურად გაუქმდა, აქედან გამომდინარე საქართველო არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც არ არის საბჭოთა კავშირის კანონმემკვიდრე და მისი დაშლის შემდეგ გათავისუფლებული. არც ერთ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს არ გაუვლიათ ეს სამართებლივი გზა დამოუკიდებლობისაკენ!

**დღეს, ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ უნდა გაჟღერდეს მოთხოვნა, რომ მოხდეს უპიროზოდ ლეგიტიმაციის აღდგენა და დაიწყოს სამართლებლივზი ბრძოლა ოკუპაციის და ოკუპანტების წინააღმდეგ**, რადგან, როცა ბატონ გახარიას ეუბნებიან — არ განახორციელო დაჭერებიო, მართლები არიან მასთან და იცით, რატომ? როდესაც თენგიზ კიტოვანი — მკვლელი, სახელმწიდო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი, თავისუფლად დადის, რატომ არ ექნება პრეტენზია სააკაშვილს და გიგა ბოკერიას?

აქედან გამომდინარე, ქვეყანა დგას დიდი განსაცდელის წინაშე და გეტყვით, რატომაც.

**ჯო ბაიდენის აშშ-ის პრეზიდენტად მოსვლით, საქართველოში დამყარდება, პირდაპირ გეტყვით — მამათმავლების, ლესბოსელების და მათნაირების ხელისუფლება, დაიწყება პატიოსანი ადამიანების დევნა და უმცირესობების დიქტატურა დამყარდება საქართველოში.** დაიმახსოვრეთ, ეს იქნება პრეცედენტი, რომ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც იგივე განმეორდეს.

თუ „ლიბერალებმა“ საქართველოში ეს შეძლეს, მაშინ მოხდება ის, რომ კავკასიას, ერთხელ და სამუდამოდ, დაკარგინებენ იმ ფუნქციას და მისიასაც, რაც მას არა მხოლოდ რუსეთის, **(старшая сестра Иверия, спасительница земли Русь! Серафим Саровски)** არამედ მთელი მსოფლიოს წინაშე აქვს.

ჰეგელმა ბრძანა: „მსოფლიო ისტორიის პროგრესი იწყება კავკასიური რასის გზიდან, მხოლოდ კავკასიურ რასაში აღწევს სული აბსოლიტურ იდენტურობას საკუთარ თავთან, შეიმეცნებს მას თავის აბსოლიტურ დამოუკიდებლობაში, აღწევს თვითგამორკვევას, საკუთარი არსის განვითარებას და ამით შობს მსოფლიო ისტორიას“.

კავკასიური რასის დომინანტი რომ საქართველო და ქართველი ერია, ამაზე არავინ არ კამათობს. თუ ქართველი ერი თავის სახეს დაკარგავს, მოკვდება კავკასია. თუ კავკასია მოკვდება, პროგრესიც მოკვდება მასთან ერთად. აქ საუბარია ზნეობრივ პროგრესზე, რასაც დღევანდელი, ანტიქრისტიანული მსოფლიო ებრძვის ყველა მიმართულებით.საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რიმელმაც ეკუმენიზმს ხელი არ მოაწერა და განუდგა მსოფლიო ეკუმენისტ პატრიარქ ბართოლომეოსს, არ მიიღო მონაწილეობა უკრაინის მოვლენებში. დღეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაა ერთადერთი ავტოკეფალური ორგანიზმი, რომელიც სწორი გზით მიდის, თუმცა შიგნიდან მის დაცემას ცდილობენ შავრაზმელები, რომლებიც ბაიდენის იდეოლოგიის, ბოკერიას და მისი ფრთის მხარდამჭერები არიან და საქართველოს დაცემა აქვთ მიზნად დასახული. ამაში უშლის ხელს გახარია. ხაზარაძე-კვირიკაშვილის ვიწრო მერკანტილურ ინტერესებს აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ინტერესები დაემთხვა. აი, ამ ინტერესების განხორციელებაში უშლით მათ ხელს გიორგი გახარია და ამიტომაც „ამოიღეს მიზანშიც“.

**ირანდა კალანდაძე**
593 556 11 18





# კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა...

5 გვ.

მეოთხე შიგნით ცდილობს სიტუაციის არევას და ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირებას...

**საქართველო სურამის ციხესავითაა, შენდება და ვერ შენდება, მაინცდამაინც ვიღაც უნდა ჩაატანონ შიგ, რომ აშენდეს.**

**ზოგჯერ ეს ვიღაც თავად საქართველოა, რომელსაც „პატრიოტი“ ქართველები დიდი ენთუზიაზმით ტენიან კედელში და ამით თავი მოსწონთ კიდეც.**

აი, ახლაც, როცა ამ წერილს ვწერ, პარლამენტის წინ დგანან, „პატრიოტი“ ქართველები და „ციხის“ კედელში საქართველოს ჩატანებას ცდილობენ, წელამდე უკვე ჩაატანეს და თუ ნებაზე მივუშვით, მალე ბოლომდე ჩაატანენ.



ერთადერთი, ვინც ამ „მამულიშვილურ“ საქმეში ხელს უშლით, ბიძინა ივანიშვილია.

— ჰოდა, მოშორდეს ეგ ბიძინა ივანიშვილი იქიდან და აგვაშენებინოს ეს ქვეყანაო, — გაიძახიან ტიპები, რომლებსაც ქვეყნის აშენება კი არა, ქვა ქვაზე არ დაუდიათ არასოდეს.

— მოშორდეს აქაურობას, წავიდეს აქედანო, — ხმას აყოლებენ „მშენებლებს“ მათი „პრარაბები“ – სააკაშვილები და ვაშაძეები, სანიკიძეები და გუგავები, ბოკერიები, უგულავები, ნათელაშვილები, ქარდავები, ხოშტარიები, ბობოხიძეები, ბარამიძეები, რულოვსები, მაჭუტაძეები და კიდევ ათასი ჯურის პარაზიტები და მავნებლები, რომლებიც ათეული წლებია, მეტასტაზებივით მოსდებიან ქვეყნის სხეულს.

აი, ესენი, ეს პოლიტიკური „შანტრაპა“, ეს ბანდა, ეს პარაზიტები და მავნებლები, რომლებსაც წართმევის და წაგლეჯვის გარდა არაფერი შეუმატებია საქართველოსთვის, ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელმაც უამრავი სიკეთე გაუკეთა ამ ქვეყანას, ეუბნებიან, აქედან წავიდეს, რომ თვითონ მოვიდნენ და თუ რაიმე დარჩა შესაჭმელი, ბოლომდე შეთქვლიფონ, თუ რაიმე დარჩა დასაქცევი, ბოლომდე დააქციონ, თუ რაიმე დარჩა გასაყიდი, ბოლომდე გაყიდონ და გაანიავონ, როგორც ამას 2012 წლამდე მთელი ცხრამეტი წლის განმავლობაში, შევარდნაძის და სააკაშვილის „არაბობის“ ხანაში აკეთებდნენ.

●

20 ივნისს დაწყებულმა მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენა, თუ რა მყიფეა ქართული სახელმწიფოს შენობა და როგორ შეიძლება ის ერთ წამში დაინგრეს.

ამ მოვლენებმა ისიც აჩვენა, თუ როგორი სწორი და წინდახედულის ის ტაქტიკა და სტრატეგია, რაც ქვეყანამ, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილმა, 2012 წლის შემდეგ აირჩია.

2012 წლის შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ მისი წინამორბედის, „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, არავისთვის, მათ შორის, არც რუსეთისთვის, არაფერი არ დაუთმია.

როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოსწონთ იმ ძალებს, რომლებიც ერთი თვეა, პარლამენტის წინ დგანან და ბოლომდე ცდილობენ საქართველოს დაქცევას და დამარხვას.

**ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, ვისაც როგორ უნდა, ისე ჩამითვალოს: მოცემულ სიტუაციაში საქართველოს ხსნის და გადარჩენის ერთადერთი გზა ბიძინა ივანიშვილზე გადის.**

**კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა**, რომელსაც ავანტიურისტები, ფარისევლები, თვალთმაქცები კვლავ უპირებენ გონების არევას.

**კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა**: დღეს თუ ბიძინა ივანიშვილს დათმობთ, ხვალ საქართველოს დათმობა მოგიწევთ აუცილებლად.

●

– რა აზრი აქვს რაიმეს თქმას ან არათქმას იმ ქვეყანაში, სადაც 30 წელია, ერთი და იგივე შეცდომას იმეორებენ და ამ შეცდომებისგან ვერაფერი უსწავლიათ-მეთქი, ვთქვი წერილის დასაწყისში.

შეცდომებსაც აქვთ თავისი ფინალი, თავისი დასასრული.

ჩვენ თუ დღეს ისევ შეცდომას დავუშვებთ, ეს იქნება ჩვენი ბოლო შეცდომა. ბოლო წერტილი1 ფინალი! დასასრული!

**კარგად მოისმინოს და კარგად გაიგოს ეს ქართველმა ხალხმა!**

# ბატონო გიორგი, თქვენ კი არ უნდა გადადგეთ, გადააყენეთ „ნაცმოძრაობა“ და იქ მიაბრძანეთ, სადაც მათი ადგილია – ვირის აბანოში!

## ღია წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, უშიშროების საბჭოს მდივანს და ვიცე-პრემიერს – გიორგი გახარიას



**ბატონო გიორგი,**

პირდაპირ გეტყვით და კატეგორიულად მოვითხოვ მე და საზოგადოების უდიდესი ნაწილი: არ დაეთანხმოთ, არ დაუჯეროთ და არ აყვეთ ვინმეს კარნახს; არ შეგეშინდეთ, არ შეკრთეთ, წარბიც არ შეიხაროთ მაგათ თავხედობაზე და მოთხოვნაზე და მომიტინგეთა ულტიმატუმზე. თქვენ ხართ სამშობლოს და სახელმწიფოს მცველი გუშაგი. ეს გავალიათ თქვენ, ეს არის თქვენი სამსახური. „გადადექითო“, რომ გეუბნებიან, ეგენი არიან ნაცები და ნაცების გამოხმობილი ხროვა, ქვეყნის დამანგრეველი სექტა, რომელთაც ქცეყანა ფეხებზე ჰკიდიათ და მხოლოდ რევანში და პირადი ამბიცია და ინტერესი ამოძრავებთ.

ბირთვისის ციხის მცველს რომ უთხრან, „გადადექიო“ და მერე ციხე აიღონ, ეს იგივეა! ეს უნდა იცოდნენ შტერმა ხოშტარია-სამადაშვილებმა და გრიგოლიებმა...

რუსთაველზე მოყაყანე ბრბო უნდა მიხვდეს, რომ ეს არ შეიძლება! ეს დანაშაულია, ანუ ღალატი.

„გამოკითხა“ იმედმა — საზოგადოების 93% კატეგორიული წინააღმდეგია თქვენი გადადგომის.



კიდევ გამოკითხონ, შედეგი იგივე იქნება.

ეს უნდა იცოდეს მტერმაც და მოყვარემაც...

●

ჩემდა გასაკვირად და ქვეყნისთვის სავალალოდ, ნებისმირი საერო და სახელმწიფო პრობლემისადმი ჟურნალისტების მიმართება, მათი პოზიცია არის არამარტო ანტისახელმწიფოებრივი, არამედ ანტიეროვნულიც! არამარტო ანტიეროვნული, მკვეთრად ანტიქრისტაიანულიც...

მათი ქცევის და სულის გამოხატულება გამაგონებლად ლიბერასტულ-ნასცისტურია — გაუცხოებული, კოსმოპოლიტური...

●

სად გაიზარდნენ, სად განისწავლნენ ისინი? ვინ უკითხავდა/ასწავლიდა მათ ჟურნალისტის ეთიკას და იმას, რომ ყოფილიყვნენ მიუკერძოებელი და არა მკვეთრად გამოხატული სექტანტები და მხოლოდ რომელიმე პარტიის და კლანისდ მხარდამჭერნი...

მაგათი ჭკუით (და ქცევით) გამოდის, რომ ჩვენ უნდა ავიყაროთ, დანარჩენი 99% ქართველი, ვისაც საკუთარი სამშობლო, მისი კულტურა და ადათ-წესი უყვარს, ვისაც შერცა ეროვნული ცნობიერება და ესენი დარჩნენ...

ელგებეტეთა ხროვა, ელგებეტეთა მთავრობა და ხელისუფლება და ნაცისტური, ანუ ფაშისტურ-ლიბერასტული პარტიები, დემოკრატებად თუ „თავისუფალ ევროპებად“ წოდებული ეშმაკის მოციქულნი...

გამოხატვის, ქცევის და სიტყვის თავისუფლებით მთლიანად გაშიშვლებული არასამთავრობოები და ცილისმწამებელი ჯაშუში ტელევიზიები!

დიახ, ესენი დარჩებიან ქართველთა იმ ისტორიულ მიწაზე და აღარ იქნება ნამდვილი ქართველი ხალხი.

ამ ტიპის აჯანყებები, ამ ტიპის პროტესტები და პრობლემების განუწყვეტელი ჯაჭვი ქართული მენტალობის, ქრისტიანობის და სახელმწიფოს მოსახრჩობად, ტელევიზიები და ნაციონალები რომ ქმნიან, მათი რუპორობით რომ იმართება, პირდაპირ საგანგაშოა და უნდა აღიკვეთოს!

**ბატონო გიორგი,** გრძელი პრეამბულა გამომივიდა და მთავარს ახლა ვიტყვი: როგორ და რატომ ბედავენ ეს ვიგინდარა, უზნეო ჟურნალისტები შინაგან საქმეტა მინისტრის და უშიშროების საბჭოს მდივნის დაბარებას და დაკითხვას?

ანუ, უნდა გკითხოთ: რითია აღშფოთებული გრიგოლია — პომადიან ბულდოგად წოდებული ჟურნალისტი, თქვენ რომ იერიში მოიგერიეთ და სახელმწიფო გადატრიალება შეაჩერეთ, ამან აღაშფოთა?

გრიგოლია პირდაპირ აღიარებით ჩვენებას რომ გაძლევთ: „აქ რომ არ ვმჯდარიყავი, მეც იქ ვიქნებოდიო?“ რატომ არ ჰკითხეთ: რატომ უნდა ყოფილიყო იქ, იმ გადატრიალების მცდელობაში, იმ ვანდალიზმის და ნგრევის მონაწილე? რომელიღაც დელეგაციას ერთი რუსი რომ ჩამოყვა და სადღაც ჩამოჯდა (ჩამოდო უკანალი), ამის გულისთვის უწყობს ქვეყანას გადატრიალებას?

ამისთვის ეპროტესტება ხელისუფლებას და მოითხოვს მინისტრის გადადგომას?

— საკუთარ თავს და იმ ნაცებს რატომ არ უწყობენ ანტისაოკუპაციო მიტინგებს, ვინც ეს ოკუპანტი რუსი მოაბრუნა და ქვეყნის 1/3 დაგვაკარგვინა? ვის და რატომ ემიტინგებიან?

რატომ არ ეკითხებით: ის და მისი კოლეგა ვითომ ჟურნალისტები (და ამ დროს საკუთარ ქვეყანაში ჩასაფრებული „ტროას ცხენები“) გადატრიალებისკენ და აჯანყებისკენ რომ აქეზებენ ამ ყეყეჩ ვიგინდარებს, ქვეყნის დანგრევის მეტი რომ არაფერი აინტერესებთ! ჟიჟილაშვილები, სანაიები, გაბუნიები ხომ პირდაპირ გენერლებივით წარმართავენ და აქეზებენ ამ ამბოხებებს.

რატომ უმალავს ვითომ აღშფოთებული ბულდოგი საზოგადოებას გავეშებული ცოფიანი იერიშის კადრებს და აჩვენებს რაღაც სხვას, რითაც თითქოს მშვიდობიანი მომიტინგეების უმიზეზო დარბევის ეფექტს ქმნის? არ არის ფაქტის (მოვლენის) ამგვარი ინტერპრეტაცია დასჯადი? — ეს ხომ პირდაპირ დანაშაულის მიჩქმალვაა? მაშ, რატომ არ წაუენებთ მათ ამ ბრალდებას და სხვა ტელევიზიებს, რომლებიც ასე იქცევიან?

**ბატონო მინისტრო!** თქვენ კი არ უნდა გადადგეთ, თქვენ უნდა გადააყენოთ ისინი, ერთდროულად პარლამენტის შიგნიდან და გარედან რომ გიწყობდნენ აჯანყებას (გადატრიალებას)!

შიგნიდან ხოშტარია, სამადაშვილი, ბაქრაძე, ბოკერიები, გარედან ბარამიძე, მელია,. შავგულიძე, გვარამიები და მათი ტელევიზიები!

მოკლედ, ისე, როგორც ერდორანი მოიქცა — 30-ზე მეტი სააგენტო დახურა!

მარტო მელია არ არის საკმარისი...

ბოკერია რომ ქმნის და მართავს პროცესებს და მერე იპარება, ეს ყველამ იცის.

მაგის კისერზეა პატიმრების დასჯა (მსხვერპლით), მოლაშვილის წამება, გლდანის ეკლესიის ნგრევა, პატრიარქზე შეტევები და მრავალი სხვა ცოდვა...

რატომ საკუთარი უზნეობა არ აღაშფოთებს გრიგოლიას და მისთანებს და არა ის, ვინც მათი ეს უზნეობა დაინახა და ამხილა?

მათ საკუთარი ამორალობისა და უზნეობის გადასაფარად ქვეყანა ჭორის და ცილისწამების ბურუსში გახვიეს, ღიად შეურაცხყოფენ ეკრანიდან ერის მორალს და რჩეულ ღირსეულ მოქალაქეებს, თვით პატრიარქსაც კი სიტყვის გამოხატვის თავისუფლების შირმი თ. ამდენად, ამათი დასჯა არავის შეუძლია და გამოდის, რომ ეს მაქციები კანონის გარეთ დგანან.

**ბატონო მინისტრო!** თქვენ კი რამდენი ჰომოსექსუალი, რამდენი პედოფილი და ნარკომანი, რამდენი ნაცისტი და ლიბერასტი აგიჯანყდებათ და გადადგომას მოითხოვს, იმდენჯერ უნდა გადადგეთ?

თუ პოლიცია სახელმწიფოს და საკუთარ თავს იცავს, ყოველთვის მინისტრი უნდა გადადგეს, ან პარლამეტის თავმჯდომარე? მაშინ ვინ არის და სად არის სახელმწიფო?

თქვენს გადადგომას რომ ითხოვენ მომიტინგე ხლისტები და „პანდორას ყუთი“ ტელევიზიები, თქვენ თვითონ უნდა გადაყენოთ ეგენი, დაიბაროთ და ჰკითხოთ, რა მისიას ასრულებენ საკუთარ სამშობლოში? რამდენი გადატრიალება დაგეგმა გვარამიას სატელევიზიო აგენტურამ სააკაშვილის კარნახით ღია ეთერში. თქვენ არ გახსოვთ, ბავშვიანი ქალის გვამს რომ ითხოვდნენ? ალასანიას ქილერის დაქირავება რომ სურდა (ერთ მილიონად) ივანიშვილის მოსაკვდინებლად...

არ არის ობსტრუქაია და დასჯადი დანაშაული ნაცებმა და გაბუნიას ტელევიზიებმა ქვეყანას 3 მილიარდი რომ დაკარგვინეს და რუსეთთან მეორე ომის ზღვარზე დაგვაყენეს?

ჩვენ არა ვართ სახელმწიფო, ამათ პასუხს რომ არ ვთხოვთ?

●

**ბატონო მინისტრო,** სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანო და ვიცე-პრემიერო!

თქვენ ვალდებული ხართ, დაიცვათ ქვეყნის ინტერესი, ეს ომია და ამ ომში ვინმეს თვალიც შეიძლება გამოეთხაროს, კისერიც მოიტეხოს, ეს თქვენი დანაშაული არ და ვერ იქნება; ეს ომია XXI საუკუნის „ჰიქსოსებთან“ და ეს ომი თქვენ უნდა მოიგოთ.

ესენი აბსურდის თეატრის სპექტაკლს დგამენ, თქვენ არ უნდა გახდეთ ამ სპექტაკლის მონაწილე, უნდა დაშალოთ ეს ამფითეატრი (ინტერიერი) 9 აპრილის წმინდა მემორიალი „ქათმებმა“ რომ თავის ქანდარად აქციეს!

ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც არ გააჩნია სახელიმწიფოებრივი ხედვა, ბრბოდ იქცევა და ქვეყნის ვულგარიზაციას და ანარქიას იწვევს...

●

ესენი რწყილისგან სპილოს ქმნიან და ჭყლეტენ ქვეყანას. ვისაც არ უნახავს პოლციაზე და პარლამენტზე თავდასხმა, შეიძლება იფიქროს, რომ იქ მართლა ის ხდებოდა, რასაც გრიგოლია-ტრაპაიძე-ჟიჟილაშვილები ამონტაჟებენ და აჩვენებენ ეკრანზე და თანაც თავის აღშფოთებულ კომენტარს ურთავენ, რომ „მშვიდობიანი მიტინგი დაარბიეს“ და ეს ისეთივე დარბევა იყო, როგორც 26 მაისს!

ვიდრე საკუთარ ქვეყანაში ამ სიცრუეს არ აღმოფხვრით, სახელმწიფოს ვერ შექმნით, არ გამოვა, შენ აშენებდე და ვიღაც იქვე გინგრევდეს.

თქვენ, უშიშროების საბჭოს მდივანი და შინაგან საქმეთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი, ვალდებული ხართ, დაიცვათ ქვეყნის უსაფრთხოება, თუ გნებავთ, ზნეობრივი თვალსაზრისითაც...

გრიგოლიას და მისთანებს კი არ უნდა აბაროთ ანგარიშები და არც თავი გაუყადროთ ამ რიპის „ფლეშებს“.

გიპასუხოთ ხოშტარიებმა და სამადაშვილებმა, ვინ გამოიწვია ეს ომი და ოკუპაცია, ვინ მოიყვანა რუსები შიდა ქართლში და კოდორში? იმას რატომ არ ეპოტინებიან? ვის უწყობენ ამ მიტინგებს? საკუთარ თავს და უზნეობას რატომ არ უცხადებენ პროტესტს?

ბატონო მინისტრო და უშიშროების საბჭოს მდივანო!

მოგმართავთ წინადადებით (და ეს საზოგადოების მოთხოვნაც არის), ამოირჩიეთ/მოიყვანეთ საგანგებო პროკურორი, ისეთი ტიპის, ამერიკის პრეზიდენტებს იმპიჩმენტებს რომ უწყობს, მიანიჭეთ უფლება, დაიბაროს ყველა, ვინც ეს ომი და ოკუპაცია გამოიწვია.

მოიყვანეთ საგანგებო პროკურორი, თუნდაც უცხოეთიდან, თუნდაც მთვარიდან, საიდანაც გინდათ მოიყვანეთ და გააჩინეთ სამართალი!

●

მეც და საზოგადოებასაც უჩნდება კითხვა, რატომ გადააყენეთ ან რატომ გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე? რა დააშავა?

ამ ბოროტი ნაცებისა და მათ ფეხის ხმას აყოლილი ტუტუცი ბავშვების მოთხოვნით გადააყენეთ?

ყველაზე დიდი „ბარტყის“ გადაგდება ნაცებმა არ იკმარეს.

გადაუგდეთ მეოე ბარტყიც, „პროპორციული“, არც ის ჩაგეთვლებათ.

ახლა მესამე მარტყს გთხოვენ. გადაუგდებთ? არავინ ჩაგითვლით! მოითხოვენ მეოთხეს და ყველას.

ამიტომ იმოქმედეთ ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება. უმჯობესია, თქვენ „გადააყენოთ“ „ნაცმოძრაობა“!!!

**კობა არაბული**
**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, მწერალი, ეთნოლოგი**

# გახარიას უფლება არ აქვს ახლა გადადგეს. არც ქვეყანას აქვს იმის ფუფუნება, რომ „ნაციონალების“ წინაშე ვინმემ კაპიტულაცია გამოაცხადოს



*გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელი კახა კუკავა:*

**— კახა, პუტინმა განაცხადა, რომ აფხაზეთი და ოსეთი საქართველოს ჰქონდა ოკუპირებული. რას გულისხმობდა პუტინი ამ განცხადებით?**

— განცხადება რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა, რაზეც საქართველოში გამოხმაურებები მთლად ჯანსაღი არ იყო. გეგონება პუტინს ქართული სკოლა აქვს დამთავრებული ისე ედავებოდნენ: საქართველოს ისტორია რატომ არ იციო.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტები ჩვენი გადასახედიდან დამახინჯებულია,



მაგრამ ქართული მუშტების გულზე ბრაგუნი არაფერს შველის იმიტომ, რომ ამას მხოლოდ პუტინი არ აკეთებს. მთელს მსოფლიოში ძალიან დიდი ხანია საინფორმაციო ომები და ისტორიის გადაწერა მიმდინარეობს. ყველა ქვეყანას აქვს თავისი დოქტრინა თუ როგორ უნდა მიიღოს ამ საინფორმაციო ომში თავად სარგებელი. საქმე იმაშია, რომ საქართველო ამ საინფორმაციო ომს არც არასდროს აწარმოებდა. „რუსთავი2“-ზე საღამოს კვესიტაძე რას იჭიჭყინებს, ეს საინფორმაციო ომის წარმოებაში ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს. მე, არაერთხელ მივმართე ქართულ დიასპორას, ხელისუფლებას: რუსეთის ლანძღვა კი არ არის გამოსავალი, არამედ როგორც ამას ებრაელები, სომხები და სხვა პატარა ერები აკეთებენ, უნდა იწარმოოს სპეციალური კამპანია, რომელსაც ქართული სახელმწიფო დააფინანსებს და იგი უნდა შეეხებოდეს რუსეთში ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტების სწორ პროპაგანდას, რასაც მარტო ჩვენ — ქართველები არ ვაკეთებთ.

საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში მიღებული თემაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნების საზღვრები დამოკიდებულია არამარტო კულტურულ, ენობრივ კონტექსტზე, არამედ გეო-პოლიტიკაზეც. ჩვენ გვგონია, რომ ყველანი ქართველები ვართ და ერთ სახელმწიფოში უნდა ვიცხოვროთ, არადა ასე არ არის. კორეელებიც ერთი ხალხია, მაგრამ ორ სახელმწიფოში ცხოვრობენ, არაბები კი საერთოდ 22 სახელმწიფოში არიან გაფანტულნი. რატომ? — მათი გეოპოლიტიკა ისეთია, რომ ერთ ქვეყანაში ცხოვრების საშუალება არ ეძლევათ. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მე-15 საუკუნეში აქ, ორი დიდი იმპერია იყო — ოსმალეთისა და ირანის. მათ ქვეყნები შუაზე გაიყვეს, თორემ ვერანაირი ძალა — იმერეთის და ქართლ-კახეთის ჯარი ამას ვერ გადალახავდა. ძალიან დიდი დისბალანსი იყო — სად ირანი და ოსმალეთი და სად გურია და სამეგრელო. ამიტომაც, რუსეთმა ქვეყნის გაერთიანების წინაპირობა შექმნა. იმ კონკრეტულ სიტუაციაში მე-19—20 საუკუნეებში მხოლოდ რუსეთს ჰქონდა ისეთი ზეალმატებული ძალა, რომ სამხრეთ-კავკასიის რეგიონიდან უკან დაეხია როგორც ოსმალეთს, ისე ირანს. მე-20 საუკუნეშიც, ბუნებრივია, ეს რეგიონი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. შემდეგ ვითარება შეიცვალა. დღეს ასეთი სიტუაციაა: სამხრეთ-კავკასიის ნაწილი რუსეთის გავლენის ქვეშ არის, ნაწილი — თურქეთის, ნაწილი — აშშ-ს, რაც საქართველოს საზღვრებზე აისახა. ზოგს რომ ჰგონია გამსახურდიას მოუვიდა ოსებთან ჩხუბი და შევარდნაძეს — აფხაზებთან, ამ კონფლიქტების საქმე ასე მარტივად არ არის. სინამდვილეში, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ერთიანობის საერთაშორისო გარანტი აღარ არსებობს — არც რუსეთი არ უზრუნველყოფს საქართველოს საზღვრების ერთიანობას და არც აშშ. ამიტომაც, ვფიქრობ, პუტინის განცხადებაზე აქ, ისტერიკა და ლანძღვა-გინება კი არ არის გამოსავალი, არამედ ამას კარგი დაკვირვება, ანალიზი სჭირდება, რათა ჩვენ, ისეთი დოქტრინა, კონცეფცია მოვნახოთ, რომელიც საქართველოს საზღვრების ერთიანობას უზრუნველყოფს.

**— პუტინმა, გარკვეულწილად, ხომ არ გაგვაფრთხილა: ცალ-ცალკე შემოგიერთეთ და ახლა, თუ ბევრს გაახურებთ ისევ ცალ-ცალკე დაგშლითო.**

— დიახ, ეს რისკი ნამდვილად არსებობს. საქართველოს რამოდენიმე რეგიონში, სავარაუდოდ, რუსეთს აქვს კიდეც დაკონსერვებული პროექტები. ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს არის ჯავახეთი და აჭარა. თუმცა, შეიძლება სხვა რეგიონებიც იყოს, სადაც სიტუაციის გართულების შემთხვევაში, რუსეთმა შესაძლებელია, დაახლოებით, იგივე ტიპის სპეცოპერაცია ჩაატაროს, რაც ყირიმსა და დომბასში. აქაც, იგივე პრობლემამდე მივდივართ — არ არსებობს ჩვენი უსაფრთხოების არავითარი გარანტია. რუსეთმა ჯავახეთში ან აჭარაში მართლაც რომ მოაწყოს ის რაც ყირიმში და დონბასში გააკეთა, ვინ დაგვიცავს — ნატო თუ აშშ? — სამწუხაროდ, ვერცერთი.

**— როცა 20 ივნისს საქართველოში ვითარება უკიდურესად გამწვავდა, პუტინი და ტრამპი, ამ დროს, ერთმანეთს შეხვდნენ. ტრამპმა თქვა: პუტინი საუკეთესო ადამიანიაო. ამავდროულად, რუსეთს ევროსაბჭომ სანქციები მოუხსნა. პუტინი ყველა მიმართულებით სიტუაციას ალაგებს. ჩვენი სტრატეგიული მეგობარი აშშ, პუტინის მეგობარი ხდება. ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკას 28 წელია, აბსოლუტურად, არაკომპეტენტური ძალები ალაგებენ. სამწუხაროდ, ამ პრო-დასავლურმა კურსმა ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდ უბედურებას გადაჰკიდა. იმიტომ, რომ ეს ხალხი — პრო-დასავლური პარტიები აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, არაპროფესიონალი და რაც მთავარია არაპატრიოტები არიან. ის, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდება და ეს უკანასკნელი ჩვენი უსაფრთხოების გარანტი იქნება, არის მითი.

**— რაც ახლა ჩვენთან ხდება პირდაპირ კავშირში ხომ არ არის ტრამპის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასთან — უნდათ როგორმე საქართველომ რუსეთთან დაიწყოს ომი, რითაც დარტყმა ტრამპსაც მიადგება?**

— რაც შეიძლება დადასტურებულად ითქვას, შემდეგია: ყველაფერი ტვიტერში ბაიდენის გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენლის პოსტით დაიწყო, სადაც იგი ღიად საუბრობდა, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია ძალიან დიდი საფრთხეა. იგი, საუბრობდა არა ოკუპაციაზე ან რაიმე სხვა ტიპის მოვლენაზე, არამედ იმაზე, რომ ზოგადად, ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაცია და ეკონომიკური განვითარება არის პრობლემა. ვფიქრობ, ეს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია იყო და ამით მიზანსაც მიაღწიეს. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართულებით საავიაციო მიმოსვლა შეწყდა, ასევე, ტურისტების შემოდინებაც. ანუ, აშშ-ს ერთ-ერთი



მთავარი ლიბერალური წრეების ამოცანა მიღწეული იქნა. ამის მიღმა რა დგას, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, მაგრამ ვარაუდი იმის შესახებ, რომ კლინტონის და ამერიკის დემოკრატიული პარტიის ლიბერალური წრეების ინტერესებში შედის საქართველოს გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ, აზრს მოკლებული ნამდვილად არ არის. ეს მოსაზრება 2008 წელსაც არსებობდა.

**— ზოგადად, რას ფიქრობ ანტისაოკუპაციო აქციებზე?**

— ეს თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ცენტრალური საკითხია. უკვე ვნახეთ, რომ საქართველომ რუსეთისგან, ურთიერთობის დაძაბვით, ძალიან დიდი ზარალი მიიღო. ამას კიდევ უფრო მძიმე შედეგები ექნება იმიტომ, რომ ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში როცა ძირითადი



ტურისტული სეზონია, ჩვენი ტურისტული ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, ცარიელი იქნებ, რაც ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი იმოქმდებს როგორც საკრედიტო კრიზისზე, ისე ეროვნულ ვალუტაზე. გარდა ამისა, ვხედავთ მცდელობას, პროვოკაციას ჩვენი ქართველი ლიბერალი ექსტრემისტების მხრიდან, რომლებიც ცდილობენ ეს კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდეს. მათი ამოცანა გამოსავლის პოვნა არ არის. ვფიქრობ, იმ ერთი წლის მანძილზე რაც არჩევნებამდეა დარჩენილი, უფრო და უფრო უარესს უნდა ველოდოთ. პირდაპირ ვხედავთ რაც ხდება: „რუსთავი-2“, „ტვ-1“, „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ — ეს სუბიექტები ღიად ამბობენ: როგორმე უნდა მიაღწიონ იმას, რომ ღვინოში ჩააფსან და რუსეთში ღვინის, მინერალური წყლების გატანა აიკრძალოს. მათ უნდათ ეს ურთიერთობები თავიდან ბოლომდე ჩაჩეხონ და რა ზეგავლენას მოახდენს ეს ჩვენს ეკონომიკაზე, აბსოლუტურად, ფეხებზე ჰკიდიათ. ამიტომაც, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზაცია დღესვე რომ დაიწყოს, ამასაც კი საკმაო დრო დასჭირდება, რომ სადღაც 2018 წლის დონეზე დავბრუნდეთ. ძალიან დიდი ზარალი მივიღეთ. მინიმუმ 2020 წლამდე საქართველო არის დაპაუზებული.

**— კახა, პროპორციულ არჩევნებზე მოწყობილი შეხვედრისას ბრალი დაგდეს კობახიძის გვერდით როგორ დაჯექიო.**

— კობახიძის გვერდით ჯდომას, შემდგომ შეხვედრა კახეთში გაიმართა, რასაც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. წევრები რომელბიც აპროტესტებდნენ თალაკვაძის და კობახიძის გვერდით როგორ დაჯექითო, მაგალითად, სერგი კაპანაძე და თინა ბოკუჩავა მშვენივრად ეკუსკუსებოდნენ ერთსაც და მეორესაც. „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები კახეთში კობახიძესთან ლამის „პადრუჩკით“ სეირნობდნენ ლოპოტას ტბაზე.

სრული აბსურდია მკვლელებთან, სადისტებთან და ყაჩაღებთან ერთად გახარიას გადადგომა მოითხოვო. რა თქმა უნდა, გახარია მათი მოთხოვნით არ უნდა გადადგეს. იგი არჩევნების შედეგად უნდა წავიდეს და შსს მინისტრი ახალმა პარლამენტმა დაამტკიცოს. გახარიას უფლება არ აქვს ახლა გადადგეს. არც ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ „ნაციონალების“ წინაშე ვინმემ კაპიტულაცია გამოაცხადოს. თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, ახლა, ყველამ დაინახა ეს ვისი აქციაა.

ეს ვითარება, მინიმუმ, ერთი წელი ანუ, არჩევნებამდე არ დამთავრდება. ხელისუფლებაც და საზოგადოებაც მზად უნდა იყოს, რომ „ნაცები“ ექსტრემისტები არიან, მათ ქვეყნის დაქცევა, განადგურება უნდათ. სამწუხაროდ, ხელისუფლების უნიათობის შედეგად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მათ ამის შესაძლებლობა მიეცათ. დღესდღეობით, ამ სიტუაციაში ქირურგიული ჩარევა შეუძლებელია. ხელისუფლებას ამის ძალა არ აქვს. ასეთ გამოსავალს ვხედავ: რამდენჯერაც „ნაცები“ ცეცხლს დაანთებენ, იმდენჯერ წყალი დავასხათ და ქვეყანა როგორმე არჩევნებამდე მივიყვანოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ნაცმოძრაობა“ - რუსეთის მეხუთე კოლონა

## გავრილოვის პროვოკაცია, აქციები პარლამენტის წინ, გვარამიას, გაბუნიას ბილწსიტყვაობები ეს ყველაფერი რუსეთის მიერ არის დაფინანსებული



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს. რეალურად, რა მიზეზები უძღოდა წინ სიტუაციის გამწვავებას?**

— ამ პროცესებმა გვაჩვენა, რომ ქვეყანაში არის ძალა, ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობას“ და მის განშტოებებს, რომელიც ქვეყნის დესტაბილიზაციის, სახელმწიფოს ჩამოშლისკენ არის მიმართული. 2003 წლის შემდეგ ეს ადამიანები ხელისუფლებაში მოსვლას ისევ ძალადობრივი გზით ცდილობენ, რაც ძალიან საშიში პროცესია. საბჭოთა კავშირის დანგრევის დროს ხელისუფლების ასეთი სახის ცვლილება უკვე გვქონდა. ფაქტობრივად, იმ პერიოდში სახელმწიფოს ნიშნებიც კი არ იყო. გარკვეულწილად, მსგავსი პროცესები, დანგრეულ სახელმწიფოში, არცთუ ისე მოულოდნელი იყო. დღეს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლიდან ლამის 30 წელია გასული, ქვეყანაში ისევ არიან ძალები, რომლებიც ამ სინდრომიდან ვერ გამოვიდნენ და კვლავ გადატრიალებით, პარლამენტში შეჭრით უნდა აიღონ ძალაუფლება. ეს ძალიან საშიში მოვლენაა. რაც ახლა ხდება, ამაში ხელისუფლებაა დამნაშავე, რადგან „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები დაუსჯელნი დატოვა. მათ არ მოეთხოვათ პასუხი არც 2003 წლის გადატრიალებაზე, არც 9 წლიან რეჟიმზე, რომელსაც თავად „ქართული ოცნება“ სისხლიან რეჟიმს უწოდებს. სისხლიანი რეჟიმისთვის მხოლოდ ორი-სამი კაცი იხდის სასჯელს, რაც არაადეკვატური სამართალია. სწორედ, „ქართული ოცნების“ გამო მოხდა ის, რომ ხელისუფლების უუნარობით, უსუსურობით გათავხედებულმა „ნაცებმა“ დღევანდელი ვითარება შევარდნაძისდროინდელ პერიოდთან გააიგივეს. მაშინ გადატრიალება მოინდომეს და შედეგიც მიიღეს. ისინი, დღესაც, მზად იყვნენ გადატრიალების გზით მოეხდინათ ძალაუფლების ხელში აღება. ეს განგაშის სიგნალი იყო იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრივად აზროვნებს და ფიქრობს, რომ ხელისუფლების ცვლა მხოლოდდამხოლოდ კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს და არავითარ შემთხვევაში ძალადობი თ. „ნაცები“ მიზნის მისაღწევად ყველას იყენებენ — ახალგაზრდებს, ხანშიშესულებს, კრიმინალებს, ზონდერებს და ა.შ. ფაქტი ერთია, არსებობს კრიმინალური ძალა, რომელიც დღემდე დაუსჯელია, მეტიც, კვლავ პოლიტიკაშია. შედეგად მივიღეთ 20 ივნისის მოვლენები.

**— გახარიამ აღნიშნა, რომ იყო გადატრიალების მცდელობა, რაც აღიკვეთა, მაგრამ რატომ არ დაისაჯნენ დამნაშავეები?**

— 2003 წლის მერე, მსგავსი რამ არ ყოფილა, უბრალოდ, არსებობდა მინიშნებები, რომ „ნაცმოძრაობა“ გადატრიალებისთვის ემზადებოდა. სააკაშვილი და გვარამია „რუსთავი2“-ზე ხშირად აჟღერებდნენ, რომ ქვეყანა უნდა ჩამოშალონ, დაამხონ, კონკრეტული ქმედებებიც იყო, მაგრამ პირდაპირი მტკიცებულება საზოგადოებას არ ჰქონდა. თუმცა, გამოძიებას აუცილებლად ეცოდინებოდა როთ იყო დაკავებული ეს ბანდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამას მსვლელობა არ მიეცა. დღეს, უკვე ქართულმა საზოგადოებამ საკუთარი თვალით ნახა, რომ „ნაცები“ ხელისუფლებაში მოსვლას გადატრიალების მცდელობით აპირებდნენ. თუ ხელისუფლება ამ კრიმინალების ქმედებებს დღესაც დაუსჯელს დატოვებს და ამ მიმართულებით ადეკვატური არ იქნება, მათ 2020 წელს ხელისუფლებაში კონსტიტუციური გზით მოსვლა გაუჭირდებათ. როცა ასეთი დესტრუქციული ძალა არსებობს, უნდა იცოდე, რომ დღეს თუ არა ხვალ ან ზეგ მაინც განახორციელებენ ჩანაფიქრს. სამწუხაროდ, ქვეყანაში ასეთი მიდრეკილების ადამიანები არსებობენ, თანაც ისინი პოლიტიკაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე არიან. პარლამენტი თუ ხელისუფლების ნებისმიერი შტო მათი მოკავშირეებით არის სავსე. თუ ხელისუფლება მათ გაწმენდას არ დაიწყებს, რათა სახელმწიფო უსაფრთხოდ იყოს, ბუნებრივია, ხალხს ასეთი რეაქცია ექნება — არც ერთი და არც მეორე. ხელისუფლებაში ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს, ვისაც უნარი შესწევს საზოგადოება მსგავსი რყევებისგან, გაუთავებლად სახელმწიფოს ჩამოშლის რისკისგან, თუნდაც იმ მატერიალური ზიანისგან დაიცვას, რაც დღეს ქვეყანას, ხალხს მიადგა. ეს, უშუალოდ, მოსახლეობის ჯიბეზე აისახა. ადამიანები ამ კრიმინალური ძალის — „ნაცმოძრაობის“ მსხვერპლნი აღმოჩდნენ. ვინ აუნაზღაურებს ხალხს მიყენებულ ზარალს? კვლევები ადასტურებს, რომ ამ პროცესებმა პუტინის რეიტინგი ერთი-ორად გაზარდა როგორც მის ქვეყანაში, ასევე დასავლეთში იმ საპასუხო რეაქციისთვის, რაც მან საქართველოზე სანქციების დაწესებისთვის უარის თქმით გააკეთა. იმ დღეს ხომ შეიძლებოდა გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სკამში ჩაჯდომასთან დაკავშირებით ცივილიზებული პროტესტი განხორციელებულიყო, რაც არც დანარჩენ 24 ქვეყანასთან მოგვჭრიდა თავს, რომელთაც საერთოდ ვერ გაიგეს რა ხდებოდა, რატომ მიაყენეს მათ შეურაცხყოფა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის გამო. ეს ხომ მართლმადიდებლური საპარლამენტო ასსამბლეა იყო და არა რიგითი კონფერენცია. „ნაციონალებმა“, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა აზარალეს. ავიღოთ თუნდაც, რა ხდება აქციებზე, ტელევიზიებში: რა კულტურას, ზნეობას ამჟღავნებენ მთელი მსოფლიოს დასანახად. ეს არის ქართველი კაცის ბრძოლის მეთოდები? — ასეთი უცენზურო პლაკატები, ბილწსიტყვაობა. ჩვენი ქვეყანა უხსოვარი დროიდან ომშია — ტერიტორიებს ხან კარგავს, ხან იბრუნებს, ხან რეჟიმებს ებრძვის, მაგრამ ცივილიზებულად ეთიკასთან და ზრდილობასთან თანხვედრაში. როგორ შეიძლება ვინმესთან დაპირისპირება ასეთი ფორმით მოგინდეს — პლაკატებზე, აბსოლუტურად, გარყვნილი წარწერებით, ანდა იმ ლექსიკით, რითაც ისინი საქართველოს სატელევიზიო ეთერებიდან საუბრობენ. ვინ მისცათ ამის უფლება? ვის აინტერესებს მათი გინება? ამ ბილწსიტყვაობას, დედის გინებას უყურებს დღეს მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ამ უმსგავსობაზე რეაქცია არ აქვს. „რუსთავი2“-ზე, ამ მხრივ კატასტროფა ხდება და იგი მაინც განაგრძობს მაუწყებლობას. ქვეყანაში არ არსებობს ნება, რათა ეს აღიკვეთოს. ამ უზნეობას, გათახსირებულობას პოლიტიკაშიც ნერგავენ. პოლიტიკას ბრძოლის მეთოდები გააჩნია. უხამსობა ყველა ქვეყანაში დასჯადია. ჩვენთან რატომ არ არის ასე და რატომ არ უჩერებენ მაუწყებლობას „რუსთავი2“-ს?! — გეტყვით რატომაც: სწორედ იმიტომ, რომ დღეს, რუსეთის ინტერესებში შედის საქართველო, ჩვენი კულტურა, მოქალაქეები აი, ასეთი ფორმით წარმოაჩინონ და მსოფლიოს დაანახონ თუ ვის, როგორი კატეგორიის ქვეყანას დაუპირისპირდა რუსეთი და როგორ შეიძლება ასეთი ქვეყანა მართალი იყოს თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში.



**— შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გადატრიალება რუსეთის ფულით იგეგმებოდა?**

— ეჭვი არ მეპარება, რაც გაბუნია-გვარამიამ გააკეთეს, ეს, აბსოლუტურად, რუსული პროექტი იყო. როგორც ზემოთ გითხარით: ეს პირადად პუტინის ინტერესებში იყო და შედეგიც შესაბამისი დადგა. პუტინმა იხეირა, ჩვენ კი დავზარალდით. მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში ასეთი ვიგინდარები გვყავს. ამ დროს ხელისუფლება პასუხს არ გვცემს: რის საფუძველზე მოხდა პოლიტიკაში ამ კრიმინალების შენარჩუნება?

გახარია ინგა გრიგოლიას გადაცემაში აღნიშნა, რომ რაც მოხდა გადატრიალების მცდელობა იყო. მერე, რა მოჰყვა შედეგად სახელმწიფო ინსტიტუტებზე შეტევას, მელიასთვის ბრასლეტის გაკეთება?! ბრასლეტით გამოიხატება ის, რომ სახელმწიფო უნდა ჩამოშლილიყო? ვინც ციხეში ზის და სასჯელს იხდის მათ რა დააშავეს, რატომ არ უკეთიათ ბრასლეტები. გახარია ერთი მხრივ, არგუმენტირებულად საუბრობდა, მეორე მხრივ, სახელმწიფო ამ არგუმენტებზე რეაგირებას არ ახდენს. ელემენტარულად, არ ჩნდება კითხვა: როგორ მიიღეს დაზიანებები 80-ზე მეტმა პოლიციელმა თუ მშვიდობიანი მიტინგი იყო? თუ პოლიციელებს მომიტინგეებმა მიაყენეს დაზიანება ე.ი. ეს მშვიდობიანი აქცია კი არა პოლიციელებზე თავდასხმა ყოფილა, ხომ. ამას კანონი არეგულირებს. ვინ დააზიანა 80-ზე მეტი პოლიციელი — ეს კითხვა არსად ისმის. პოლიციელებმა ერთმანეთი სცემეს? ასევე, 300-ზე მეტი ფარი გატაცებულია, რის შესახებაც ინფორმაციას შსს მინისტრი გვაწვდის და შედეგად გვაქვს მელიას მაჯაზე წამოცმული ერთი ბრასლეტი. რამდენი პირია დაკავებული, მოქალაქეების მხრიდან, იმ შტურმისთვის, რაც განახორციელეს? სახელმწიფოებრივი აზროვნება არ არსებობს. აბსოლუტური ნონსესია, როცა ასეთი რამ ხდება და ამ დროს ადამიანის უფლებებზე საუბრობენ. ამაზე უფრო მეტი ლუსტრირება, რომ სახელმწიფო არ არსებობს, რაღა გინდათ. ხელისუფლება მარტო იმაზე ფიქრობს არჩევნები მოიგოს და ძალაუფლების უზურპაცია მოახდინოს. „ქართულ ოცნებას“ ხალხი არაფრად მიაჩნია.

**— სად არის საზოგადოების მეორე ნაწილი. საქართველო მშვილდაძეს და მაქარაშვილს უჭერს მხარს?**

— საზოგადოება დუმს იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ დაშანტაჟებული ჰყავს. ხელისუფლება გვეუბნება: არაფერი მოიმოქმედოთ, თორემ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვაო. არ გამოხვიდეთ ქუჩაში თორემ „ნაცები“ დაბრუნდებიანო. 20 ივნისის მოვლენების მერე ხალხმა იხუვლა: გავიდეთ, ვაჩვენოთ რამდენი ვართო, ხელისუფლებამ მაშინვე თქვა: არა, არ გახვიდეთ, ასე „ნაცების“ დაბრუნებას შეუწყობთ ხელსო. ხალხი შანტაჟის ქვეშ არის, ფიქრობს: რადგან ხელისუფლება იძახის არ გახვიდეთ ე.ი. საფრთხე არსებობს ნაცებმა სახელმწიფო ჩამოშალონო. წესიერ მოქალაქეებს„ნაცმოძრაობით“ აშანტაჟებენ. დიახ, მათ ეუბნებიან: თუ გამოხვალთ ქუჩაში დაბრუნდება 7 ნოემბერი, 26 მაისი, გაუპატიურებები ციხეებში, რეკეტი და ა.შ.



**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# შალვა ნათელაშვილის წერილები ვლადიმერ პუტინს, დიმიტრი მედვედევს, იოსიფ კობზონს და სხვა რუს პოლიტიკოსებს

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინმა რუსეთის დუმის მიერ მიღებული დადგენილება (საქართველოსთვის დაწესებული სანქციების შესახებ) გვერდზე გადადო, „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები ნაკერავზე გაიხნენ – ნიკიფორე გვარამიამ პირდაპირ მოგვახალა, ჩაგიფსით არა მხოლოდ ღვინოში, „ნაბეღლავსა“ და ბორჯომშიცო. ქვევრების წამბილწავს უმალვე გამოეხმაურა „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი თავისი განუმეორებელი ფანტაზიებით:

„იმისათვის, რომ ეს რეალური საფრთხე თავიდან ავირიდოთ, აუცილებელია, ორი რამ, პირველი – მთელ მსოფლიოს ვაღიარებინოთ, რომ ვართ ისტორიული დევნისა და გენოციდის მსხვერპლი ერი სახელმწიფო და მეორე – საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზა, თუნდაც მასზე განლაგებული ბირთვული იარაღით“.

რასაკვირველია, ნიკიფორე გვარამიამ არ დააყოვნა და შალვა ნათელაშვილი კომპლიმენტით „დააჯილდოვა“:

„საქართველოში უნდა გაიხსნას ამერიკული ბაზა თუნდაც ბირთვული იარაღით! აბა, რაააა!!! შენ ხარ კაცი და პიროვნება“!

წესით, გვარამია ასეთ „კომპლიმენტს“ რომ გეტყვის, ან თავი უნდა მოიკლა, ან კიდევ პოლიტიკას საერთოდ ჩამოშორდე, მაგრამ შალვა ნათელაშვილი ისეთი ელასტიურია, დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვების შემდეგ ტანში ჟრუანტელი უვლის და არ გამოვრიცხავ, ის წერილებიც ახსენდება, თავის დროზე ვლადიმერ პუტინს, დიმიტრი მედვედევს, ვლადიმერ ჟირინოვსკის, იოსიფ კობზონს და სხვა რუს პოლიტიკოსებს რომ უგზავნიდა. ბატონ ნათელაშვილს ჰგონია, ამ „საიდუმლო“ წერილების შესახებ მარტო თვითონ იცის და ამიტომაც უხერხულობას სულაც არ გრძნობს. არადა, ყოფილმა ლეიბორისტმა, ამჟამად კი „მემარცხენე ალიანსის“ გენერალურმა მდივანმა, კახა ძაგანიამ რუსეთში გაგზავნილი წერილების მთელი დასტა გადმოგვცა და გვთხოვა, ამოარჩიეთო. ჰოდა, მოდით, ამოვარჩიოთ და შემცირებული ფორმით ვთარგმნოთ კიდეც.

**„რუსეთის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ვლადიმერ პუტინს.**

თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა თქვენ და რუს ხალხს საქართველოს მთავარი ოპოზიციური პარტიის სახელით.

ამჟამად ქვეყნის შიგნით გარკვეული ძალები, სახელისუფლებო ინსტიტუტებიდან, საქართველოს იყენებენ პიარ-ექსპერიმენტების პოლიგონად რუსეთისა და კონკრეტულად თქვენი რეიტინგის წინააღმდეგ. ამ საქმეში ჩართული ძალები ფინანსდებიან მილიარდერ სოროსისა და სხვა საერთაშორისო ოლიგარქიული კორპორაციების მიერ. განხორციელდა ე.წ. ვარდების რევოლუცია და იგივეს გაკეთებას ცდილობენ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ბატონო პრეზიდენტო, 30 ივლისიდან 4 აგვისტომდე, რუსეთის დუმის მიწვევით, ოფიციალური ვიზიტით, მე ვეწვევი მოსკოვს. მესმის, რომ პროტოკოლი არ ითვალისწინებს, რომ გთხოვოთ შეხვედრა და დეტალურად მოგაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ქვეყნებს, რომელიც ვრცელდება საშიში ვირუსივით, მაინც ვიმედოვნებ, გამონახავთ მცირეოდენ დროს ესოდენ საჭირო საუბრისთვის.

კიდევ ერთხელ ვუდასტურებ პატივისცემას თქვენს აღმატებულებას, რუს ხალხს და ვიტოვებ თქვენთან შეხვედრის იმედს. ულრმესი პატივისცემით, შალვა ნათელაშვილი“.

ბატონი შალვა იგივე შინაარსის წერილს უგზავნის **დიმიტრი მედვედევსაც** და ასევე ეაჯება, თქვენო არმატებულებავ, ჩამოვალ, შემხვდით, მეტად საჭირო ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ, საქართველოში გარკვეული ძალები თქვენი რეიტინგის საწინააღმდეგოდ მუშაობენ, ეს კი საფრთხეს უქმნის ჩვენს ტრადიციულ მეგობრობასო. მსგავსი შინაარსისა და პათოსის წერილები გაუგზავნა მოსკოვის მერს **იური ლუჟკოვს**, რუსეთის დუმის სპიკერს, უშიშროების საბჭოს მდივანს, საგარეო საქმეთა მინისტრს და ასე შემდეგ. ყველას სთხოვს შეხვედრას და ინფორმაციის მიწოდებას. ამ თემაზე „საერთო გაზეთს“ „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, **კახა ძაგანია** ესაუბრება:

**- ბატონო კახა, იმ რუსი პოლიტიკოსებიდან, ვისაც შალვა ნათელაშვილი შეხვედრას და ინფორმაციის მიწოდებას სთხოვდა, ვინმეს თუ შეხვდა?**

- არა, არავის არ შეხვედრია, ყველამ დააიგნორა.

**- ყველა წერილი თითქმის იდენტურია, ყველას ეხვეწება, შემხვდითო. თქვენ და სოსო შატბერაშვილი იმ პერიოდში პარტიაში იყავით, იცოდით ამის შესახებ? ან რატომ ითხოვდა შალვა რუს პოლიტიკოსებთან შეხვედრას ასე დაჟინებით, რა მიზანი ჰქონდა?**

- მიზანი იყო ის, რომ ამ ადამიანის ხატება და ღმერთი არის ფული. მას საერთოდ არ აინტერესებს არც პოლიტიკური შეხედულებები, არც ქვეყანა, არც რელიგიური მრწამსი. იმედი ჰქონდა, თუ ისინი შეხვდებოდნენ, მით უმეტეს, მედვედევი და პუტინი, რაღაც ლუკმას გადმოუგდებდნენ. კობზონსაც კი მისწერა, წარმოგიდგენიათ? ამას რომ მიეწერა საკუთარი პოზიციების გამო და ეთქვა, რუსეთთან საჭიროა კეთილმეზობლური ურთიერთობაო, კიდევ გავიგებდი, მაგრამ იმდენად ნამუსგარეცხილია, ეს ყველა წერილში აშკარად ჩანს.

**- ანუ, გამოდის, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შალვა ნათელაშვილი რუსეთს სთავაზობდა, საქართველოში თქვენი დასაყრდენი ვიქნებიო.**

- კი, ნათელაშვილი რუსეთს სთავაზობდა, რომ საქართველოში მეხუთე კოლონად ჩამოყალიბებულიყო. ესე იგი, ამან თავისი უკანალი შესთავაზა, მაგრამ როგორც ჩანს, რუსებმა იცოდნენ, რა პიროვნებასთან ჰქონდათ საქმე და უარი უთხრეს. რაც შეეხება იმას, ჩვენ რომ იმ პერიოდში მის გვერდით ვიყავით, გულწრფელად გეუბნებით, ამ წერილების შესახებ პარტიიდან წამოსვლამდე არაფერი ვიცოდით. ჩვენ რომ ეს წერილები გვენახა, რა თქმა უნდა, თავიდანვე დავუპირისპირდებოდით. ეს მოგვაწოდა პარტიის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა, როცა წამოვედით. ამ წერილებს ნათელაშვილი რუსეთში აგზავნიდა ჩუმად, საიდუმლოდ. აბა, ჩვენ ამას წაგვაკითხებდა? ნახეთ, რას წერს. მაგას რომ თათბირზე ეთქვა, იოსებ კობზონს წერილი უნდა გავუგზავნოო, ან დავცინებდით, ან სასწრაფოდ საგიჟეთში წავიყვანდით.

**- ერთი პერიოდი ნათელაშვილმა სიარული დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, რა გამოდის, მას შემდეგ, რაც რუსებმა ყურადღება არ მიაქციეს, პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა?**

- იქაც ასე აგზავნის წერილებს, გთხოვთ, შემხვდითო და ხვდებიან რომელიღაც კონგრესმენის თანაშემწის თანაშემწეები, „რუსთავი 2“ ეხმარება, ვითომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწვევით იმყოფება, დერეფანში რომ გაივლის, გადაუღებენ და ამას აპიარებს. ნათელაშვილს სერიოზულად არც ამერიკელები აღიქვამენ. საერთოდ, ამ ქვეყანაში გამოყოფილია თანხები, რომ მსგავსი ღონისძიებები უნდა დააფინანსონ, გეგმა აქვთ და ამ მეასეხარისხოვან გეგმაში ჯდება შალიკოც. მიუხედავად იმისა, რომ მას სერიოზულად არავინ უყურებს, თვითონ მაინც ცდილობს, თავისი ე.წ. იმიჯი ქართულ პოლიტიკაში გაყიდოს. როგორ ყიდის და რას აკეთებს, კი ვხედავთ.

**- ნიკა გვარამია ნათელაშვილს დასაჭერად დასდევდა, თითქოს იმალებოდა, ახლა გვარამიას „ლუბიმჩიკი“ გახდა, სააკაშვილის მხესაც ფიცულობს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?**

- როცა მის ოჯახში შევარდნენ, თვითონ გაიპარა, იმალებოდა, ჩვენ დავდიოდით მაგასთან სახლში და ვიცავდით. ასევე ვიცავდით ოფისს. დავდიოდით ნატოს წარმომადგენლებთან, ამერიკის საელჩოში, პატრიარქთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და ასე შემდეგ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, არავის არაფერს ვამადლით, მაგრამ ადამიანი ლოგიკაში ხომ უნდა ჯდებოდე? ახლა ეძებს ფინანსურ წყაროს, ხელებში შეჰყურებს მიხეილ სააკაშვილს, ჰგონია, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის რამეს გადმოუგდებს.

**- ჰგონია, თუ უკვე გადმოუგდო?**

– ჩემი აზრით, შალიკო სააკაშვილსაც აღარ სჭირდება, თუ ამ არჩევნებზე რამე გადმოუგდო, ეს იქნება ძალიან ცოტა. ამ ადამიანმა თავისი პოლიტიკური რესურსი უკვე ამოწურა, ფულის სიყვარულმა რეიტინგიც დააკარგინა და რეპუტაციაც. შალიკომ მიიღო, რასაც ეძებდა. მე ყველაზე მატად გამაღიზიანა მისმა ბოლო განცხადებამ – არ შეიძლება, არ იცოდეს, რამხელა საფრთხეა, თუკი საქართველოში უცხო ქვეყნის ბაზები განთავსდება, თუნდაც ეს იყოს ამერიკული.

ღმერთი არ გწამთ, ვინმემ წაიყვანოს ეს კაცი საგიჟეთში, სანამ ქვეყანა არ აუფეთქებია...

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**P.S** ამ წერილს რომ ვწერდი, ერთი ჩემი მეგობარი პოეტის ფუნაგორია გამახსენდა და უნდა შემოგთავაზოთ:

**„შალვა ვაშინგტონს ეწვია,**
**მასპინძლად დახვდა რასელი,**
**რასელი თურმე ყოფილა**
**ნათელაშვილის კლასელი.**
**შალვას წერილი მიჰქონდა**
**ივანიშვილის დასმენის.**
**შორიდან მიშა ამხნევებს,**
**შარვალში ბევრჯერ ჩამფსმელი,**
**სამშობლოს შემარცხვენელი,**
**ტალახში მისი გამსვრელი.**
**ავახმე, ჩემო მამულო,**
**ამათგან, აბა, რას ელი,**
**თავისი ქვეყნის დამსმენებს**
**ყველას მოვუ..ან დამსმელი“.**









# ეს იყო ნარკოტიკებით გაბრუებული, მთვრალი, გალეშილი ადამიანებისგან შემდგარი მასა, რომელსაც ვერაფერს ვაგებინებდით

## სპეცრაზმელის ნაამბობი, რომელიც 20 ივნისის ღამეს სიკვდილს გადაურჩა



ქვეყნის მოღალატე "ნაციონალურმა მოძრაობამ" თავის სატელიტებთან ერთად უკვე დაიწყო 20 ივნისის ღამის მოვლენების შეტრიალება – თურმე ადგილი ჰქონდა არა პარლამენტის შენობაში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, არამედ მშვიდობიანი მომიტინგეების მოულოდნელ დარბევას. ამაში მოღალატეებს ხელს უწყობს ე.წ. ქართული მედიის ნაწილი – "რუსთავი 2" (იგივე "ყრუსთავი", "ტვ პირველი" (იგივე "ჭუტა პირველი") და "კავკასია" (იგივე "აქუს ტაშტი).

ავანტიურისტთა ბუნაგი პანიკაშია. გადამტრიალებლებმა, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოახერხეს სწორედ გიორგი გახარიას მეცადინეობით, იმდენად აქვთ ბოღმა მოწოლილი, საკუთარ ლოგინებშიც კი ვეღარ ტრიალდებიან ხეირიანად. ვიდეოჩანაწერები იქით იყოს, ამჯერად "საერთო გაზეთს" ესაუბრება ერთ-ერთი სპეცრაზმელი, რომელიც წინა ხაზზე იმყოფებოდა და საბედნიეროდ, გადარჩა. მის ვინაობას გასაგები მიზეზების გამო არ ვამხელთ:

- ჯერ ვიტყვი იმას, რომ პარლამენტის შენობასთან არანაირი სპეცრაზმი არ ყოფილა, ვიყავით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარიდან, ჩვენ ვიცავთ სამინისტროს ობიექტებს. სულ ვართ 18–20 წლის წვევამდელები. როდესაც გამოგვიძახეს, არც კი ვიცოდით, რა ხდებოდა, გორგასლის ქუჩაზე გამოვცხადდით, ავიღეთ აღჭურვილობა და შეგვიყვანეს მთავრობის კანცელარიის ეზოში, შემდეგ კი გადავედით პარლამენტის შენობის ეზოში. ბრძანება იყო, რომ არ უნდა გადავსულიყავით შეტევაზე, გვევალებოდა მხოლოდ შესასვლელისა და საკუთარი თავის დაცვა. შეგვეძლო, "დუბინკის" დარტყმა მარტო ფარზე გაფრთხილების მიზნით. თავიდან თითქოს საშიში არაფერი იყო, მაგრამ...

**- ბრძანებას ვინ იძლეოდა, გიორგი გახარია?**

- არა, გახარია საერთოდ არ მინახავს, ჩვენი ხელმძღვანელი იყო იქ, ოცმეთაური და იმას ვემორჩილებოდით. ჩვენს უკან იდგნენ პოლიციელები, მათ არც ფარები ჰქონდათ, არც "დუბინკები" და არც იარაღი. როდესაც შეტევა დაიწყო, ეს პოლიციელები გვიმაგრებდნენ ზურგს, უკნიდან გვაწვებოდნენ, რომ შეტევაზე გადმოსულებს არ წაველეკეთ. აბა, როგორია? წინიდან გაწვებიან, უკნიდანაც, ისეთი სიტუაციაა, სული გეხუთება, მძიმე აღჭურვილობაც ხელს გიშლის, ფეხზე ვეღარ დგები ნორმალურად... ეს ჩაფხუტიც ისეთია, კარგად ვერ ხედავ. მოდის გავეშებული მასა, გიყვირიან, ღრიალებენ, საგნებს გესვრიან. ჩემი მეგობარი შევარდა შენობის ეზოში, არიქა, დანები და კასტეტები აქვთო.

**- დანები და კასტეტები მართლა ჰქონდათ?**

- მე არ მინახავს. თუმცა არ



გამოვრიცხავ, გვესროდნენ ყველაფერს, ქვებს, აგურებს, ბოთლებს და ასე შემდეგ. მე მომცვივდნენ, "დუბინკას" ჩაეჭიდნენ, ხელი ოფლიანი მქონდა და გამისხლტა. მეორე მომვარდა, ჩაფხუტის შესაკრავში მწვდა, ყელში წამიჭირა. ვატყობ, ვიხრჩობი. ავიხედე, ჩემ თავზე "დუბინკა" უნდა დაეშვას. ფარიც წამგლიჯეს. სხვა გზა აღარ მქონდა, ვიღრიალე, რას შვრებით, ვის ურტყამთ, მე ხომ აქ თქვენს დასაცავად ვდგავარ-მეთქი?! ჩაფხუტი რომ ამგლიჯეს თავიდან, დაინახეს, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, თან ახალგაზრდა და აქ ცოტა გამოფხიზლდნენ, ერთმა იყვირა, ამას არ დაარტყათო. უკან დაიხიეს, შემეშვნენ და ამ დროს დავბრუნდი ჩემს პოზიციაზე.

**– შენ იდექი ეგზალტირებული მასის პირისპირ, თუ გახსოვს, ეს რა კატეგორიის ხალხი იყო? აქციის მონაწილე ე.წ. ახალგაზრდები ამტკიცებენ, ჩვენ არ ვიცით, ეს რა მასა იყო, ჩვენ შენობაში შეჭრა არც კი გვიფიქრიაო.**

- პირველი, რაც შევამჩნიე, არის ის, რომ ყველანი ძალიან კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, თითქოს ერთი ადგილიდან იყვნენ მოსულები სპეციალური დავალებით. სწორედ ჩემს წინ იდგნენ ნიკა მელია, შალვა ნათელაშვილი და სხვები. მათ ჰქონდათ რაღაცის მოლოდინი, დასაწყისში მართავდნენ სიტუაციას. თუმცა, როგორც კი მასა შეტევაზე გადმოვიდა, ესენი გაქრნენ. მეორე კიდევ ის დავინახე, რომ ყველა იყო ან მთვრალი, ან დაბოლილი, ან ჰქონდა გაჩხერილი. ჩემთვის წარმოუდგენელია, ადამიანს ეხვეწებოდე, წადი, თავი დამანებეო და ის ისევ მოდიოდეს და გაგინებდეს. მესამე – შეტევაზე გადმოსულთა უმეტესობამ არ იცოდა, ვის ეჩხუბებოდა, რა უნდოდა და საერთოდ, რისთვის იყო მოსული. ერთი შუა ხნის კაცი მომახტა, დააგდე ფარი და "დუბინკა", ამ ხელისუფლებამ გუშინ არჩევნები გააყალბა და უნდა დავამხოთო. მეორე მიყვიროდა, შენ ეხლა გმირობა უნდა ჩაიდინო, დაყარე იარაღი, გადმოდი ხალხის მხარეს, როგორც საფრანგეთში გააკეთეს სპეცრაზმელებმაო. ვეუბნები, წადი, გამანებე თავი, ვერ ვიშორებ, დაიხევენ უკან, ისევ მოდიან. ერთი პერიოდი შევნიშნე, რომ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ერთი ჯგუფი ცოტა უკან იხევდა, მეორე ჯგუფი მოდიოდა, შემდეგ ესენი იხევდნენ, ცოტა ისვენებდნენ და ისევ იწყებდნენ. გეუბნებით, ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული შეტევა.

**- გაზისა და წყლის ჭავლის გაშვების ბრძანება გაიცა მაშინ, როცა უკვე ვეღარ უძლებდით, ხო?**

- რა თქმა უნდა, როცა დადგა საშიშროება, რომ გადაგვტეხავდნენ, დაიწყო გაზის გაშვება. აქ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, სპეციალური დანაყოფია, მეთოფეებს ეძახიან, მათ დაიწყეს ამ საქმის კეთება. მიუხედავად ამისა, ნარკოტიკებით გაბრუებული მასა მაინც არ შეჩერდა. ასე თავი რომ გაწირო, ადამიანს ან დიდი ფული უნდა გქონდეს აღებული, ან კიდევ თავში ვერ უნდა გქონდეს საქმე კარგად. მე ვფიქრობ, აქ დიდი ფული იყო გადახდილი, არ შეიძლება, არ მგონია, ამდენ ხალხს ასე ერთდროულად დაეკარგა ჭკუა-გონება. წამალს და ფულს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ისიც ტყუილია, რომ იძახიან, თვალებში დამიზნებით ესროდნენო, რეზინის ტყია ისეთია, ვერ დაუმიზნებ, მას აქვს მრგვალი თავი და ვერ აპობს ჰაერს. თუ ვინმეს მოხვდა თვალში, ეს იყო შემთხვევითი. თუმცა არ უარვყოფ, რომ დასასრულისკენ იყო რამდენიმე პოლიციელის მხრიდან აგრესია და გამიკვირდა კიდეც, ესენი რაღამ გააგიჟა-მეთქი? ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც პროვოკაცია გათამაშდა. ბრძანების თანახმად, პოლიციას უნდა შეენარჩუნებინა სიმშვიდე და ამას აკეთებდნენ კიდეც. ალბათ კადრებში ნახეთ, როგორ ასკდებოდნენ ჩვენს კორდონს გაგიჟებული ტიპები, რამდენიმე შიგნით შევითრიეთ, ეზოში შეიყვანეს, სადაც სასწრაფოები და ავტობუსები იდგა. იქ თავზე ევლებოდნენ, თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალეთ, ხომ არაფერი იტკინეთო? ამაზეც მეცინებოდა, ცოტა ზედმეტი იყო მოფერება. ესენი ეფერებოდნენ, ისინი მაინც გიჟობდნენ, დაგვიჭირეთ, ციხეში ჩაგვყარეთ, დიახაც, ხელისუფლების დამხობა გვინდაო. ერთი გადაეკიდა ჩვენს მეთაურს, რომელიც ძალიან წესიერი კაცია, გინდა თუ არა, დამიჭირეო. ეს ეუბნება, არ დაგიჭერო. უნდა დამიჭიროო. ძლივს მოიშორა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თუ დაიჭერდნენ, ალბათ უფრო მეტს გადაუხდიდნენ. ბოლოს ერთი რამე მინდა ვთქვა: ჩვენს წინ იდგა გავეშებული მასა და ჩვენი მოვალეობა შევასრულე თ. გიორგი გახარია არის ძალიან მაგარი მინისტრი. ბევრს ჰგონია, რომ ჩვენ ვართ რობოტები და არაფერზე არ ვფიქრობთ. მათგან განსხვავებით, ძალიან კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებდით. იგივე რომ გამეორდეს, იგივეს გავაკეთებთ. გავრცელებულ ვიდეოებშიც კარგად ჩანს, რომ ეს ადამიანები მოსაკლავად გვიმეტებდნენ, ეს იყო მაგრად ორგანიზებული ფაშისტური ჯგუფები. როდესაც ჩვენ წყალი დაგვირიგეს, მათ ვაძლევდით, რომ დაწყნარებულიყვნენ, მიჰქონდათ, წყალს ღვრიდნენ, შიგ ქვებს ტენიდნენ და აქეთ გვესროდნენ. აბა, ეს ნორმალური საქციელია? ჩვენ ვერავინ ვერ დაგვადანაშაულებს, რომ კანონი და ბრძანება დავარღვიეთ, გავაკეთეთ ის, რაც გვევალებოდა.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

რა თქმა უნდა, საყველპურო კი არა, საკმაოზე მეტი წარმოდგენა მაქვს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში „საიდანაც ჯერ არს“ ერთჯერადი გამოყენების წესით მოხმარებული „მოღვაწეების“ შესახებ. ამის მიუხედავად, მე თვითონაც მხცოვანი კაცი, არც ქვეყნის თავსატკივარს, არც დედასაქართველოს ქრისტესმხედრულ სახელებს და არც ჩემს „ძაღლუმადურად გდებას“ (ვაჟა) არ ვაკადრებ პოლიტიკურ პარაშათა ისტორიის სანაგვეში ჩასახუფი აქოთება ვაყროლო თქვენს წინაშე.

ამას (კიდევ ერთხელ შეგახსენებთ) ჟამთაბერი უჩემოდ გააკეთებს, რადგან ამაო ცდაა, – მასთან ვერავინ ჩააწყობს საქმეს!

ისე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ღრმადპატივცემულ მესვეურებს დღეს, კეთილმოსურნედ (და არა ჩასაფრებული) და თანამოსანგრეობის წესით უნდა ვუთხრა, რომ ფრთხილად: რუსთაველის

ზიდენტის ნეშტი ხომ მთაწმინდაზე აატანინა, ამან ზ.გამსახურდიას მუზეუმი აუგო და მორჩილი პარლამენტი აიძულა, რომ პარლამენტში სასესიო დარბაზს მისი სახელი მინიჭებოდა! არ ვიცი, ამ დროს რას ფიქრობდა ივანიშვილი – **მეგრელების გულის მოგებას** (ხაზგასმა ჩემია **ს.ს.**), რათა ზუგდიდის არჩევნებში რულოვსს არ გაემარჯვა? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ვიცი ნაღდად: ვინ მისცა ივანიშვილს ისტორიის გაყალბების უფლება?!“ (შეიხსენეთ აკ. წერეთლის მიერ გენიალურად თარგმნილი ივან კრილოვის „ბაყაყი და ხარი“, სწორედ ის ამბოხია ამ კაცუნაში).

დამაკნინებლობით, სიძულვილითა და, რაც ასე თავზარდამცემი უნდა იყოს, სრულიად საქართველოსთვის – ზიზღნარევი არამშობლიურობით წარმოთქმული „მეგრელთა“... (ვაი, შე მართლაც საბჭოთა ცენტრ-ნაცმენური პროგრამით გამოინკუბატორებულო). ამ შემთხვევაში ასე გამოორღოებული ავყიობის ინტონაცია ისეთივეა, როგორიც იყო 1992–93 წლებში აქ, სატაზტოში მოთითისქნევე „პროვინციული ფაშიზმი“, „მეგრელთა პირუმტკიცობა“ და სხვა სახელდახელო, დროსა და სივრცეში არარსებული ცილისწამებები და იქ, სამეგრელოზე მიიერიშებულ მარბიელთა გაყროყინება



# ვათანძარა



წმინდა გამზირზე გამოჭენებული ვირების „ამღერებას“, სავარაუდოდ, გენმოდიფიცირებული აქლემების „სამაია“ მოჰყვება, ორივეს ერთად კი წინგაუხედავი შვილებისგან ასე საბედისწეროდ არნამშობლიურევი მამულის ქურსუმში გადაყირავება დაებედება ხოლმე.

აი, ეს იქნება საგანგაშო! ამიტომ წინამდებარე საყოველთაოდ ცნობილ გაზეთში (გვ. 3) მიზნობრივად დაბოღმილის მიერ ამოავყიებულ უპასუხისმგებლო ხმაბოდვაში (სათაურით „პასუხისმგებლობა“ – ავტორი ვ.რცხილაძე) უნდა დავინახოთ ერის ცნობიერებისთვის მიმიზნებული ქიმიური იარაღი, რომელმაც ეროვნულ-სახალხო თვალსაწიერის გაუღრანება დაისახა მიზნად (მიუხედავად იმისა, როგორც გავიგე, ეს მაწერალი ამჟამად ავად ყოფილა („მაოხარი გზირის“ სინდრომი), ვერ დავმალავ, საზოგადოებას უნდა ავუხსნა, **რატომაც არის საგანგაშო მისი შეიარაღება ეთნოდივერსიული ნაღმებით:** „ო, ო, ბატონი ბიძინას მიგნება მარტო კოჰაბიტაციით არ მთავრდება. მან გადაწყვიტა ზვიად გამსახურდიას განდიდება! სააკაშვილმა ექსპრე-

გასაგებია, ამ ვითომდისიდენტი სუბიექტის პატივმოყვარეობას ეუბედურება ზვიად გამსახურდიას – საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლის სამარადისო დავანება წმინდა ილია მართლის გვერდით. ეს ერთი. მეორეც – იმანაც აუხარბა მოიუდე სული, ბატონი ზვიადის სახელი რომ ეწოდა იმ დარბაზს, საიდანაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღდგა (მაშ, ვისი სახელი უნდა დარქმეოდა, სალაყბო სალონებში სამშობლოზე მასავით ბერწი „აბა, გამიშვით“ მოკეკლუცის თუ ერის თავისუფლების გამომჭედის?);

... და მაინც, მე, ზვიადის განსაქიქებელ მის ადრინდელ წერილებთან (იმავე „ლიტერატურულ საქართველოში“) საპასუხოდ არ შევჩერებულვარ, რადგან ისინი იმაზე მეტი არ იყო, ვთქვათ, ტრამვაიში მუცელგვრემილი ჰაერს რომ გააუამურებს (კი ბატონო, გეთანხმებით, უსიამოვნოა).

ამჯერად სხვა ძირგამომთხრელობაა საგანგაშო, მის მიერ მიწაზე ვერ დატეული სტრატეგიული

**„ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“...**

მართალია, ეს პუბლიკაცია თითქოს აწგანსვენებული თამაზ წივწივაძის ხსოვნას ეძღვნება, მაგრამ ესეც ვირეშმაკობაა. სინამდვილეში ავტორს ცნობილი მწერლის სტრიქონებით სურს დასვას საკითხი ზვიად გამსახურდიას ვითომცდა „სუკის აგენტობის“ შესახებ: ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, ვინ არის ზვიად გამსახურდია! – საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი თუ სუკის ყოფილი აგენტი?!“ (იქვე).

არაა ეს ბატონი თამაზის ბოლოდროინდელი აზრი.

თამაზ წივწივაძესთან ამ თავსატეხ საკითხებზე უზავო, მაგრამ კეთილმოსურნე საუბრები მქონდა 2012–2018 წლებში, ეს ცნობილია თვით მისი გაზეთის ფურცლებიდან. ამის შესახებ უწყიან „ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელმა მესვეურებმაც – ასევე, შეუძლიათ ამის დადასტურება მწერლებს ჯემალ დავლიანიძეს, ვაჟა ჩორდელს, ზურაბ ქობალიას თუ სხვებს.

ეს არ იყო უშედეგო საუბრები, ჩვენ თანმიმდევრულად მივდიოდით ავმოსურნეობისგან დაცული შეჯერებული დასკვნისკენ. სამწუხაროდ, ამას ხელი შეუშალა აწგანსვენებულის ნაადრევმა სიკვდილმა.

დივერსიული აკვიატებები და ასე სიძულვილით გამოთქმული სიტყვა – „მეგრელები“... რომელიც გადმოცემულია ზემოთდასახელებულ პუბლიკაციაში, არ ვიცი თუ რამდენადაა სათანადო ხელის ქირით ანაზღაურებული, მაგრამ იგი მორიგი საეთნოფაბრიკაციო საამქროსათვის ფასდაუდებელ ამძრავ ღვედს წარმოადგენს.

ცისქვეშეთში, სადაც საზოგადოებას არა ერის კარნახით, არამედ სხვათა თითის ქნევითა და უზნეობით მართავენ, ეს არ უნდა გახდეს ის შემთხვევა, რაზედაც შეიძლება, სხვადასხვა აზრი გვქონდეს. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად“ შესაფასებელი. ეს ის ძირგამომთხრელობაა, რომელიც მიქვემეხებულია ქართველთა გონითი განფენის სივრცეს. მერე რა, რომ მის ავტორს ჰეგელი, კანტი, ლესინგი, შილერი, ნიცშე, დოსტოევსკი, ლოსევი და ა.შ. წაკითხული აქვს.

გამოგიტყდებით, ეს ყველაფერი ჩემს შვილიშვილს – 19 წლის თარაშ საჯაიას და მის მეუღლესა და თანაკურსელს, მისი შვილის ალექსანდრე საჯაიას დედას, ულამაზეს ანა ბიჭიაშვილს ჯერ ამ დონეზე შესწავლილი არა აქვთ, მაგრამ ნიუ-იორკში, სადაც სწავლობენ, ქალბატონი ანა ჩემს შვილთაშვილს სწორედაც რომ კახურს მშობლიურად მიწყალუხვებული მეგრული ნანათი ზრდის და ეს არაა სანდრა რულოვსის ნამღერი „სხვათა კულტურად“ აღქმული ჰანგი, რომლითაც არჩევნებზე საჭირო ხმებია მოსაბაცაცებელი. ის გაერთსხეულებული საქართველოსთვის მომავალი ალგეთელი მგლის ლეკვების დასარაზმი ჰიმნია.

აი, რა არ იცის, რომ ჰკითხო, განსწავლულმა ავტორმა.

... და ბოლოს, სამეგრელო, ისევე, როგორც იმერეთი, აჭარა, გურია, კახეთი და ა.შ. რეგიონი კი არ არის (არც კუთხეა, ბატონო), დიახ, იგი სრულიად საქართველოს დედანში გამშინაარსებელი მხარეა და აქ, მიუხედავად სხვადასხვა ჯურის მტრის მრავალსაუკუნოვან ეთნოდივერსიათა გადაქარიშხლებისა, იშვიათად თუ მოიფაცერება **საისაკიჟვანიო ნედლეული**. აქ უფრო ჭყონდიდელობისთვის, ცოტნეობისთვის, ამბროსი ხელაიობისთვის, კონსტანტინე გამსახურდიობისთვისა და ა.შ. საჭირო პოხიერებაა.

ეს ასეა და ამაში მკაფიოდ უნდა გაერკვეს როგორც ჩემთვის სულის მაპურებელი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ასევე ჟამთაბერთან ნაბიჯვერშეწყობილი, შენიღბული ვათანძარა ვიქტორ რცხილაძე!..

**მინაწერი** – ხმამაღლა ვამბობ: იგი ისეთივე პროვოკატორია, როგორიცაა ვინმე იური ღვინჯილია, ედემ იზორია, ზურაბ ჯაფარიძე, ნიკა გვარამია, ნაზი ხანიაშვილი...

... და კიდევ:

1876 წელს დიდი ილია წერდა: **„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპგადმოგდებულის ქართლელის მეტმა... შემოგხედოს ვინმემ და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოაღრიჯოს...“**

საბედნიეროდ, როდესაც აწ წმინდანად შერაცხულმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში, ე.ი. სამეგრელოში) 1903 წლის მაისს სოხუმში ქართველთა საქმიანობას გაეცნო (რომელთა შორის უძირძველესი მეგრელობა იყო ძირითადად), მათ ასე მიმართა, – თქვენ უნდა გადაარჩინოთო სრულიად საქართველო.

ეტყობა, მეგრელებმა დიდი ილიას დაძახებაზე სწორად „მოაღრიჯეს“ თავი (ეს ასეც იყო; როცა ავადსახსენებელმა ვოსტორგოვმა აქაური სკოლების გარუსება მოინდომა, მათ განაცხადეს, სწავლა და წირვა-ლოცვა ქართულად, ანუ **ჩქინობურად** გვინდაო. არადა, უკვე საუკუნეები იყო გასული, მათ ერთიან საქართველოში არ ეცხოვრათ).

ასე, რომ, როდესაც წაისისინებს-მეგრელოო, პირში ნაკურთხი წყალი გამოივლოს ნებისმიერმა ცენტრ-ნაცმენურად თვალგახელილმა ხეპრემ!...

**სერგი (გიორგი) საჯაია**

# ორი „უგალოვნიკი“ ნაცების „ლაგერიდან“

ბიზნესმენები განაწყენდნენ: გვარამიამ, ჩაგიფსით ღვინოში, ბორჯომში და ნაბეღლავშიო, თქვაო.

სულ ტყუილად ბრაზობთ, პატ. ბიზნესმენებო, ნაწყენები კი არა, პირიქით, მადლობლები უნდა იყოთ ბატონი ნიკუტასი, ჩაგიფსის ნაცვლად ჩაგიჯ..თო, რომ არ თქვა.

ხომ შეეძლო ეთქვა, მაგრამ არ თქვა.

ზრდილობიანი კაცია ნიკუტა გვარამია და იმიტომ...

ზრდილობიანი კაცია ნიკუტას მეგობარი გიორგი გაბუნიაც.

ზრდილობიანი და თანაც პატრიოტი.

ზრდილობიანი (თანაც პატრიოტი) რომ არ ყოფილიყო, პუტინს რუსულად კი არა, ქართულად შეაგინებდა.

დაინდო პატრიოტმა გიორგიმ ქართული ენა და ის სიბინძურეები არ აკადრა, რაც რუსულად ასე უხვად და დაუნანებლად გადმოაფრქვია.

რუსები ძალიან გაბრაზდნენ, მაგრამ, გაბრაზებასთან ერთად, გაკვირვებულებიც (ცოტათი აღტაცებულებიც) არიან — სად ისწავლა ამ გაბუნიას ბიჭმა ასეთი ძარღვიანი რუსული გინება, სადმე „ლაგერში“ „უგალოვნიკებთან“ ხომ არ არის ნაჯდომიო?

კი, არის ნაჯდომი — ნიკუტა გვარამიასთან ერთად დიდი ხანი იჯდა ნაცების „ლაგერში“ და ორივე „ლაგერის მთავარი მაყურებლის“ მიშკა უგალოვნიკის ზედამხედველობის ქვეშ დაფრთიანდნენ, ქურდული ჟარგონის მასწავლებლად კი გივია თარგამაძე, მეტსახელად ხუი მარჟოვი ჰყავდათ მიჩენილი.

თუმცა, რა შუაშია იჯდა, ორივე ახლაც იქ, ნაცების „ლაგერში“ ზის.

ნაცების „ლაგერი“ კი ისეთი „ლაგერია“, ერთხელ რომ შეხვალ, მერე იქიდან ვერასოდეს გამოხვალ — სულ უნდა იჯდე და იჯდე.

ხომ გამოვიდა თვითაღიარებით ნიკუტა და ხომ თქვა: ძღნერში ვზივართო...

ესენიც სხედან და სხედან — რა ქნან, „პაჟიზნენი“ აქვთ მისჯილი

სხედან და ისხდნენ — ნე ვიდატ იმ სვობოდი...

— მაგ გვარამიას და გაბუნიას დედები თუ ჰყავთო? — უკითხავს ბატონ ვოვას.

— ერთს ცოცხალი ჰყავს, მეორეს არაო — უპასუხნიათ.

— მკვდრებს არ ვერჩი, ცოცხალი მომიკითხეთო, — უთქვამს პატივცემულ ვლადიმირს, რაც ქალბატონ ჯულიეტას ძალიან გახარებია, თუმცა იქვე გულდაწყვეტით ჩაულაპარაკნია — ონ ვსიო აბეშაეტ და აბეშაეტო...

„რუსთავი-2“-ის ოფისთან ვიღაც-ვიღაცები მივარდნილან — გიორგი გაბუნია უნდა გავლახოთო.

— სად ჰყავს თეოფილე გაბუნიას მაგათი გასალახი შვილიშვილი... თქვა გიხოდით დიდაში მუნდიო, — გადარეულა ბაბუა თეოფილე და სამეგრელოდან თბილისისკენ დაძრულა.

სამეგრელოსთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა და უნდა გიამბოთ. ერთხელ კი მაქვს ეს ამბავი მოყოლილი, მაგრამ არა უშავს, მეორედაც მოგიყვებით.

ძმაკაცი მყავს ერთი, გვარად ნემსაძე, ოღონდ ზუგდიდში დაბადებული და გაზრდილი, ანუ მეგრელი ნემსაძე.

მაგარი კაცია ის მეგრელი ნემსაძე, ისეთი მაგარი ჯანის პატრონია, ხუთ კაცს გალახავს ერთდროულად. ეს მაგარი ნემსაძე მაგარი მხატვარიც არის და როგორც ყველა მხატვარი, ეგეც რაღაცნაირად ჩაჩანჩურებული დადის.

ერთხელაც სასტუმრო „ივერიის“ წინ დგას ეს ნემსაძე, ხელში რაღაც პარკი უჭირავს და, წესისამებრ, ზოტა ზერელად აცვია...

იქვე ახლოს სამი მეგრელი ბიჭი მდგარა.

— მუსურე თენა გუნი, თე მათხუალი, თეშ დიდა ბხოდი, — ხმამაღლა უთქვამს ერთს და სხვებიც აუყოლიებია.

დიდა ბხოდი ეგრე არ უნდაო და გაუგდია ფეხქვეშ სამივე მეგრელ ნემსაძეს.

ბიჭები გაქცეულან, ნემსაძე მისდევს და ქართულად უტრიალებს ცოცხალ-მკვდარს გაქცეულებს.

— სულ ქართულად მოვუტყანი დედის ტრაკი, მაგ წუპაკებს. აბა, თბილისელებს იმას ხომ არ ვათქმევინებდი, მეგრელი მეგრელებს ცემდაო? — ამბობდა ნემსაძე.

რა გიყოთ მე თქვენ, გვარამია და გაბუნია, მეგრულად გითხრათ ის, რასაც იმსახურებთ, თუ ქართულად მოგახსენოთ სათქმელი?

მე მგონი, სჯობს, ინტერნაციონალურ ენაზე მოგეფეროთ და მოგიკითხოთ: იდიტე ვი ნახუი, სვოლოჩი ვანიუჩიე, ხუი ვი მარჟოვიე, სუკინი სინი ნესჩასტნიე...

**ვახო ჭალენჯიხსკი**






# კახელების ღია წერილი ნიკოლოზ გვარამიას

**ნიკაა, შე ჟურუმსალო!**

ჩვენ, თელაველნი, გურჯაანელნი, სიღნაღელნი, ლაგოდეხელნი, დედოფლისწყაროელნი, ახმეტელნი და საგარეჯოელნი, შიდა და გარე კახელნი, ქიზიყელნი, ერეკლე მეორის მეზარბაზნეთა შთამომავალნი, კამბეჩოვანნი, ხორნაბუჯელნი, ხირსელნი, შილდელნი აღშფოთებულნი ვართ შენი ბინძური განცხადებების გამო!

ამას წინებზე, როცა ვენახებიდან სახლებში დაღლილ-დაქანცული დავბრუნდით, ბალღებმა მოგვახსენეს, ქათმის სკლინტმა გვარამიამ ტელევიზორში გამოაცხადა, ჩაგიფსით მაგ ღვინოში და მინერალურ წყლებში, რომელიც რუსეთში გაგაქვთ, თქვე პუტინის მონებოო. თავიდან არ დავიჯერეთსავით, ბალღებმა ხშირად იციან ხოლმე გადაჭარბება. დავსხედით, გადავახვიეთ, არავითარი გადაჭარბება, ზუსტად აეგრე იძახი, კახელებს ჩაგიფსით ღვინოშიო.

**ნიკაა, შე ოღრაშო!**

როცა შენი იკლიკანტური გამოხტომა ვნახეთ, ერთი ხანობა ვიფიქრეთ, ერთი ამისი კეთილებიცო, ყურადღება არ მივაქციოთო, მაგრამ მივხვდით რა, ეს იყო მორიგი პროვოკაცია, რომელიც შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს, გადავწყვიტეთ, ჩვენი სათქმელი მთელ დუნიას გავაგებინოთ. არა, ჩვენ ნამდვილად შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ შენ, ასერიგად გამოყ...ევებულ ადამიანს მართლა შეგიძლია ჩვენი ქვევრების წაბილწვა (ვინ ჩაგაფსმევინებს, შე ქათამო?!), ეგ მხოლოდ სიტყვების რახარუხია, მაგრამ უბედურება ის არი, ერთ დროს მთავრობაში რომ იყავი, ხან პროკურორი გერქვა, ხან განათლების მინისტრი, ხან იუსტიციის მინისტრი და მოღალატე ძმაკაცებთან ერთად არბევდი საქართველოს, ომს უცხადებდი რუსეთს და შემდეგ სტრატეგიულ ობიექტებს უფორმებდი იმავე რუსებს, აბარებდი სამაჩაბლოს სოფლებს, აბარებდი კოდორის ხეობას და ფულს უხდიდი იმავე რუსებს, რათა გორში სტალინის ძეგლი აეფეთქებინათ.

**ნიკაა, შე ქათმის სკლინტო!**

თუ რამის შნო გაქვს, ჩამო თელავში, თუ გინდა – გურჯაანში, თუ გინდა – სიღნაღში, თუ გინდა – სხვაგან და გაიმეორე, ჩაგიფსით ღვინოშიო, პუტინისტი მევენახეებიო, მოღალატეებიო. რასაც დაიჭერ, მერე არავის გაუყო. თბილისში განთავსებული საქათმიდან კარგად გეხერხება ბილწსიტყვაობა, მაგრამ გარეთ ვერ გამოდიხარ დაცვის გარეშე, კახეთში კი დაცვითაც ვერ ჩამოეთრევი. არ გაქვს მაგის შნო, ეგრევე იფსამ და უარესსაც შვრები საკუთარ შარვალში.

**ნიკაა, შე ფსუტიანო!**

წყეულიმც იყავ უკუნითი უკუნისამდე... ღვინო მოგინდეს – ფსელი მოგაწოდონ, კონიაკი მოგინდეს – შრატი მოგაწოდონ, ჭაჭა მოგინდეს – შაბიამნის ხსნარი მოგაწოდონ, ლიქიორი მოგინდეს – სამი თითის კომბინაცია გიჩვენონ. ყავას სვავდე – წუმცუმად გექცეს, ხაჭაპურს ჭამდე – ნეხვად გექცეს, ღომის ქვაბში იყურებოდე – კუპრი ამოგითუხთუხდეს, ნაყინს ლოკავდე – პენისად გექცეს!

**ნიკაა, შე იმნაირო!**

პატრიარქს აგინე – გეპატია, ბიძინა ივანიშვილს ორი კვირის გარდაცვლილი დედა აგინე – გეპატია, მიტაცებული ტელევიზიიდან ქვეყანას აყროლებ – გპატიობენ, მინისტრებს დედას აგინებ – გპატიობენ, ბიუჯეტში 20 მილიონი გაქვს გადასახდელი – გპატიობენ, ფულის გათეთრებაში ხარ ეჭვმიტანილი – გპატიობენ, დღეგამოშვებით ქვეყნის გადატრიალებას აპირებ – გპატიობენ... ბოლოს და ბოლოს, ვინ ჩვენი ფეხები ხარ, ვის დაჰკარგვიხარ, ვისი თესლიდან აღმოცენებულხარ?! თუ აქამდე ბევრი რამე გეპატია, ამიერიდან აღარ გეპატიება, ლილოსაც ვერ გამოსცდები კახეთის მხარეს!

**ნიკაა, შე აქოთებულო!**

ბოლოს, გადავწყვიტეთ, როგორც მოდაშია, საქართველოს მოსახლეობის გარდა, მივმართოთ საერთაშორისო თანამეგობრობასაც, ოღონდ ლექსად და თანაც ვახუშტი კოტეტიშვილისებურად:

ისევ გვიტევენ კახელებს,
უკვე მეათე დღე არი,
ვერავინ მოსდრეკს კახეთსა,
ნიკა ვინ ჩვენი ყლე არი?!

იმედია, ჩვენი ევროპელ და ამერიკელ პარტნიორები დაფიქრდებიან, ყოველივეს გაისიგრძესიგანებენ და შემდეგ აღშფოთდებიან.

მთელი კახეთის სახელით წერილს ხელს აწერენ: შაქარაშვილი შაქრო, მატუაშვილი მიტო, ხუნაშვილი მიხო, ღვინიაშვილი მარო, მეარყიშვილი ქეთო, ჭაჭიაშვილი გოგია, მექვაბიშვილი ჯემალა, აბრამიშვილი აბრამა და სხვები.

განცხადება ჩაიწერა და გააშალაშინა
**გელა ზედელაშვილმა**

# ვინ გახსნა დიდი ბრიტანეთის საიდუმლოებების დიდი სკივრი?

სკანდალი, რომელიც გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში აგორდა, მსოფლიო პოლიტიკას დიდი ხანია, არ ახსოვს. თანამდებობა ვადამდე დატოვა დიდი ბრიტანეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში კიმ დარროჩმა. მიზეზი მისი ხელისუფლებისთვის დახურული, ფაქტობრივად, საიდუმლო მიმოწერის გასაჯაროება გახდა. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ელჩი აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას და პირადად მას არასრულფასოვან ხელისუფლებად მიიჩნევდა. მიმოწერაში არის სხვა მკვეთრი გამონათქვამებიც.

პრესაში გავრცელებულმა საიდუმლო ინფორმაციამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია როგორც აშშ-ში, ასევე დიდ ბრიტანეთში. დონალდ ტრამპის კრიტიკა მსოფლიოს ქვეყნებში ლამის ჩვეულებრივი ამბავია და არც არავის უკვირს.





ბრიტანელთა შეშფოთება იმ გარემოებამ გამოიწვია, თუ როგორ გახდა პრესისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები. თავდაპირველად ამას რომელიმე უცხო ქვეყნის ნამოქმედარად მიიჩნევდნენ. თუმცა რამდენიმე დღის, წინ ბრიტანეთის ხელისუფლების წარმოადგენლების განცხადებით, თურმე „ციხე შიგნიდან გატყდა“. მათ უკვე იციან, თუ ვინ გადასცა პრესის წარმომადგენლებს საიდუმლო ინფორმაცია, მაგრამ მის ვინაობას, ჯერჯერობით, არ ასაჯაროებენ. ექსპერტები ღიად ამბობენ, რომ სახელმწიფო საიდუმლოს დაცვის კუთხით დიდ ბრიტანეთს მწვავე პრობლემები აქვს.

თავად დონალდ ტრამპმა გავრცელებული ინფორმაცია, ერთი შეხედვით, გარეგნულად მშვიდად მიიღო. თუმცა არც მან დაიშურა მკვეთრი გამონათქვამები ყოფილი ელჩის მიმართ. იქვე აღნიშნა, რომ ელჩს პირადად კარგად არ იცნობდა. ტრამპის განცხადებით: ...კარგია, რომ დიდ ბრიტანეთს მალე ახალი პრემიერ-მინისტრი ეყოლება“. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ პრემიერის პოსტზე მას ბორის ჯონსონის არჩევა სურს. პიროვნების, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ამასთან, გამოირჩევა პოლიტიკოსისთვის არაორდინარული ქცევებით.

ჯერ კიდევ მოქმედ პრემიერ-მინისტრს ტერეზა მეის დონალდ ტრამპი ყოველ შეხვედრაზე სთავაზობდა მკაცრი „ბრექსიტის“ გატარებას. ანუ ევროკავშირიდან გასვლისას არ გადაეხადა ბრიტანეთს 50-მილიარდიანი კომპენსაცია. ექსპერტების შეფასებით, მკაცრმა ბრექსიტმა, შესაძლოა, ჩრდილოეთ ირლანდიაში, უელსსა და შოტლანდიაში საყოველთაო აფეთქება გამოიწვიოს, რასაც, შესაძლოა, დიდი ბრიტანეთის სამეფოს დაშლაც მოჰყვეს. აქვე აღნიშნავენ, რომ ტრამპს ეს გარემოება ნაკლებად აღელვებს. პოლიტოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ ტრამპს არამარტო ევროკავშირის დასუსტება, არამედ მისი დაშლა სურს, რადგან ერთიანი კავშირის პირობებში ვერ გაატარებს მისთვის სასურველ პოლიტიკას. დონალდ ტრამპი ერთი-ერთზე მოლაპარაკების დიდოსტატად არის ცნობილი. საინტერესოა, როგორ განვითარდება მომავალში აშშ-ბრიტანეთის ურთიერთობა.

გიბრალტარის სრუტეში ბრიტანეთის მიერ ირანული ტანკერის დაკავებას ახალი გაგრძელება მოჰყვა. გასული კვირის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ირანელებმა ორმუზის სრუტეში ბრიტანული ტანკერი დააკავეს გიბრალტარის პასუხადო. ამიტომ ბრიტანეთმა სპარსეთის ყურეში დამატებით კიდევ ერთი სამხედრო გემი გააგზავნა, რომელიც შავ ზღვაში მიმდინარე ნატოს წვრთნებში მონაწილეობდა. კვირის ბოლოს ბრიტანელებმა ტონი შეცვალეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, თუ ირანალები დაამტკიცებენ, რომ ნავთობი სირიაში არ გადაჰქონდათ, გაათავისუფლებენ მათ ტანკერს. ამის შესახებ ბრიტანელი ჩინოვნიკები ტელეფონით ესაუბრნენ ირანელებს. სავარაუდოდ, ირანთან ვითარების უკიდურესად გამწვავებას ბრიტანელებმა სამშვიდობო მოლაპარაკება არჩიეს.





გასულ კვირას საფრანგეთის, გერმანიის და ბრიტანეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა შეხვედრა გამართეს. მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს და აშშ-ს მოუწოდეს, დარჩეს ირანთან ბირთვული შეთანხმების ჩარჩო-ხელშეკრულებაში. მსოფლიო ატომურ სააგენტოში აშშ-ის მოთხოვნით სხდომა გაიმართა, სადაც ირანის საკითხი განიხილეს. ირანელებმა, თავის მხრივ, გაკვირვება გამოთქვეს, ხელშეკრულება ჩვენ არ დაგვირღვევია, თავად აშშ-მ დატოვა ცალმხრივადო.



ორი კვირის წინ ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით აშშ-ში დააპატიმრეს მილიარდერი ჯეფრი ეპშტეინი. გამოძიების ცნობით, იგი არასრულწლოვნებს უწევდა ექსპლოატაციას, აიძულებდა სექსუალურ მომსახურებას სხვადასხვა ცნობილ პიროვნებებთან. გასულ კვირას მის ოფისში ჩხრეკა ჩაატარეს და სამართალდამცავებმა ამოიღეს მაკომპრომეტირებელი საბუთები. ეპშტეინს კანონთან პრობლემა ანალოგიურ საქმეზე ჯერ კიდევ 2008 წელს ჰქონდა, მაგრამ მაშინ მხოლოდ 13-თვიანი პატიმრობა მიესაჯა. ამ პერიოდში ფლორიდის შტატის პროკურორი ალექსანდრ აკოსტა იყო, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციაში შრომის მინისტრად მუშაობდა. გამოძიების ინფორმაციით, მაშინ სწორედ აკოსტა დაეხმარა ეპშტეინს მცირე სასჯელის მიღებაში. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ამჯერად ეპშტეინს ხანგრძლივი პატიმრობა ელოდება. აკოსტა იძულებული გახდა, გასულ კვირას მინისტრის პორტფელი დაეტოვებინა.ეპშტეინის საქმეს, შესაძლოა, ასეთი მნიშვნელობა არ შეეძინა, რომ არა ერთი გარემოება — მას დონალდ ტრამპისა და ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მეგობრად თვლიან. ამბობენ, ტრამპის მასთან კავშირი 2007 წლის შემდეგ აღარ აქვსო. დემოკრატები კი ჩასაფრებულები არიან და თუ ტრამპი-ეპშტეინის კავშირი გამოიკვეთა, ამ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია ტრამპის იმპიჩმენტი, რაც მისთვის კოშმარული სიზმრის ტოლფასია.

„კერკეტ კაკალს“ შეადარეს პოლიტოლოგებმა ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო. ცოტა ხნის, 3 კვირის წინ ვენესუელის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთეს. ამჯერად მთავარი მოქმედი გმირი ქვეყნის თავდაცვის ყოფილი მინისტრი რაულ ბადუელი გახლდათ, რომელსაც 10 წლის წინ ხანგრძლივი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, მადურომ შეიწყალა. ამბოხებულთა მიზანი მადუროს ლიკვიდაცია იყო. ვენესუელის ხელისუფლებამ შეძლო შეთქმულთა განეიტრალება. რაც შეეხება



თვითმარქვია ხუან გუაიდოს, იგი, ფაქტობრივად, ჩამოწერეს, რადგან რამდენჯერმე გაუშვა შანსი, ხელისუფლება ხელში ჩაეგდო. მისი უმოქმედობით უკმაყოფილოა ოპოზიციის ერთ-ერთი კურატორი, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ პენსიც, რასაც ღიადაც ამბობს.

გარდა იმისა, რომ გადატრიალებისთვის ჩარიცხული ფულის მითვისებაში დაადანაშაულეს გუაიდო თავის მომხრეებთან ერთად, გასულ კვირას იარაღის კონტრაბანდულად გაყიდვის ბრალდებით დააპატიმრეს ოპოზიციის ორი აქტივისტი. როგორც ამბობენ, იარაღი სამხედრო ნაწილებიდან ყოფილა მოპარული. ნიკოლას მადუროს მხარდასაჭერად კი კვლავ მრავალათასიანი მიტინგები იმართება.

იაპონიაში „დიდი ოცეულის! სამიტზე დონალდ ტრამპი თურქეთის პრეზიდენტს რეჯიბ ტაიფ ერდოღანს შეხვდა. მართალია, ოსაკაში ტრამპმა ერთგვარი გამართლება მოუძებნა თურქეთის გადაწყვეტილებას, რუსეთისგან ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარების შ-400-ის შეძენას, რაშიც ობამას ადმინისტრაცია დაადანაშაულა. გასულ კვირას თურქებმა უკვე დაიწყეს რუსეთიდან შ-400-ის შეტანა. ამით განაწყენებულმა ტრამპის ადმინისტრაციამ უმალ დააანონსა, რომ თურქეთს მკაცრ სანქციებს დაუწესებენ. რა სახის აკრძალვებს დაუწესებენ, ამის შესახებ უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ შ-400-ის თურქეთში შეტანა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის 3 წლისთავს დაემთხვა.

ბასტილიის აღების დღე 14 ივლისი საფრანგეთის დედაქალაქში არეულობებით აღინიშნა. რამდენიმე დღით ადრე მიგრანტებმა პანთეონის დაკავება საცდეს, სადაც ცნობილი ფრანგი პიროვნებებია დაკრძალული. 14 ივლისს, აღლუმის შემდეგ კი ცალკე ე.წ. „ყვითელჟილეტიანებმა“, ცალკე ალჟირული წარმომავლობის ხალხმა, კერძოდ, ფეხბურთის განატებმა, პარიზის სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის ელისეის მინდვრებზე ისეთი არეულობები მოაწყვეს, პოლიციელებს ცემლსადენი გაზის და რეზინის ტყვიების გამოყენება მოუხდა (ჩვენი „ოპოზიციის“ მტკიცებით ამ იარაღს არსად იყენებენ). როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე მიგრანტების პრობლემის მოგვარებას ხანგრძლივი დრო დასჭირდება.

გია ბურდული
551 71 27 07

# ტყუილად იხვეწები „უშიშარო“ გუბაზ - დამიჭირეთო. შენ რომ მართლა დაგიჭირონ, მთელ ციხეს ააქოთებ, ისე ჩაისვრი, შე ნასუქო კურდღელო...



„გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერმა, მძიმეწონოსანმა (პირდაპირი გაგებით) გუბაზ სანიკიძემ, შსს-ში გამოკითხვაზე დაბარების შემდეგ, ნაცების მთავარი რუპორის, გვარამიას კანტორის ეთერიდან „მქუხარე“ განცხადება გააკეთა, ბიძინა ივანიშვილს დავალებული აქვს, რომ პატრიოტები (ბატონ ბიძინას თურმე მათი ძალზე ეშინია) სურს მოგვაქციოს ციხეში და იზოლირება გაგვიკეთოს. ბიძინა, არ გამოგივა, რა, არ გამოგივა, შე სერგო ორჯონიკიძე, შე ყორღანაშვილო. ერთი ვნახოთ როგორ დამიჭერ და ნეტავ დამიჭიროო. ნეტავ ის გამაგებინა რა შუაში არიან გამარჯვებულ საქართველოსთან ნულოვან რეიტინგიანი სანიკიძე, უსუფაშვილი და სხვანი. რაც შეეხება პატრიოტებს, აქ ეტყობა სანიკიძე გია ბარამიძეს, ხატია დეკანოიძეს, ბაჩუკი ქარდავას და ირაკლი ღლონტს გულისხმობს, „დაბარებულებში“ ხომ ეს პერსონებიც გახლდნენ. მართალია, გუბაზ-ნაფორუმალიც ისეთივე „უშიშარია“, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი, იგივე „მრისხანე“, მაგრამ ბოლო ჟამს ორივეს შიში მოეძალა, ტყვიაველმა „რემბომ“ ეგრევე საფრანგეთში „მოხია“. გუბაზ-მძიმე მიზეზთა გამო „ყარიბობის“ გზას დადგომია, მაგრამ ულტიმატუმი „გამოაცხო“, მხოლოდ მაგისტრანტ მოსამართლეს გამოვეკითხინებიო, თან იხტიბარს არ იტეხდა, სულ არ მეშინია დაჭერის, პირიქით, ველოდებით ამას დიდი სასოებით იმიტომ, რომ, როცა ქვეყანას მართავენ მოღალატეები, მაშინ პატრიოტები ციხეში უნდა ვიჯდეთო.

იმ ხალხის საყურადღებოდ, რომელსაც უკვირს, რა დაემართა გუბაზ სანიკიძეს, ასე რამ შეცვალა და შეაყვარა ნაციონალებიო, ეს ბატონი არც არასდროს ყოფილა დაპირისპირებული ნაცებთან, ისევე, როგორც „ახალი მემარჯვენეები“. ახლა ვინმემ არ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ „სამფუნქცია“ გამყრელიძესა და მის ჯგუფს, უნებლიედ დააგვიანდათ 2003 წლის ნოემბერში, ახლად არჩეული პარლამენტის პირველ შეკრებაზე მისვლა. სხდომა რომ დაწყებულიყო, მერე სააკაშვილ-ჟვანიას გუნდი ვარდებით კი არა, მთელი ბოტანიკური ბაღით რომ შევარდნილიყო პარლამენტის შენობაში, ხელისუფლებას ვერ დაამხობდნენ და გადავრჩებოდით იმ ცხრაწლიან საშინელებას, რასაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ჰქვია. ეს პერსონები შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის სახელს ამოფარებულნიც „წარმატებით“ აგრძელებდნენ თვალთმაქცურ პოლტიკას. საქმეში კარგად ჩახედული ხალხი კი ხვდებობა ამათ ორპირობას, მაგრამ იმდენად დიდი იყო ნაცჯალათების მოშორების სურვილი, რომ არჩევანის გარეშე დარჩენილი საზოგადოება მართლაც ხავსს ეჭიდებოდა. ბიძინა ივანიშვილის პოლტიკაში გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე, ნაცნობმა, რომელიც მანამდე ერთ-ერთი „დიდი“ ოპოზიციონერის პირად დაცვაში მუშაობდა, ასეთი რამ მითხრა, როგორ გჯერათ გუბაზ სანიკიძის, ეს კაცი ორჯერ იყო პარლამენტის წევრი და მისი ხმა საერთოდ თუ გაგიგიათო. სანიკიძის ბოლო ოთხწლიანი საპარლამენტო „მოღვაწეობის“ შემხედვარე დავრწმუნდი, რომ სრულ სიმართლე მითხრა იმ ადამიანმა. ამ ფსევდოოპოზიციონერების რეიტინგი მართლაც პლინტუსს დაბლა იყო, ბიძინა ივანიშვილი რომ არ მოვლენოდათ მაშველ რგოლად, ეს რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ფორუმელებს, რესპებს და ძაან ამერიკულ „თავისუფალ დემოკრატებს“ ეხებათ. აქუბარდიას ტელევიზიის „ლომს“, ნაფორუმალ სანიკიძეს 2011 წლის შემოდგომაზე მათი ინიციატივით გამართული ე.წ. ქართველთა მარში გვინდა გავახსენოთ, სადაც რამდენიმე ასეულ კაცს ძლივს რომ მოუყარეს თავი. მაშინაც თურმე დარწმუნებული იყო სანიკიძე თავიანთ ძალებში და აქტიურ ქმედებას იწყებდნენ, მაგრამ „მარშმა“ ცივი წყალი გადაასხა, ფორტუნამ არ გაწირა და ბარაქიან „კარმუშკასთან“ აღმოჩნდა თანაგუნდელ ე.წ. პოლიტიკოსებით. ამ რეიტინგდაქვეითებულმა ისე შეიშნოვა ეს პატივი, გეგონება მართლა ეკუთვნოდა, მილიონერობა ხომ გადაწყვიტა და უმადური მორიელივით გადამრჩენელს, ანუ ბიძინა ივანიშვილს დაუწყო კბენა. როგორ კარგავდა სანიკიძის პარტია რეიტინგს, ამას ყველა ხედავდა და კონკრეტული მიზეზებიც მეტნაკლებად იცოდნენ, რის შესახებაც „საერთო გაზეთი“ მაშინვე წერდა. ჩაფლავებული „ქართველთა მარშის“ მერე ამ პარტიის ერთ დროს ძალზე აქტიური წევრი, მაგრამ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერთა საქციელით გულგატეხილი და უკმაყოფილო მცხეთელი ნუკრი ქირია დაგვიკავშირდა, მცხეთიდან ერთი ადამიანი არ წასულა ე.წ. მარშზე, არადა „ფორუმს“ აქ უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა. ხალხს ისე გაუცრუა იმედები ოპოზიციამ, რომ პოლიტიკის გაგონება აღარ უნდათ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიციის კოორდინატორი ვიყავი, მე თვითონ აღარ მჯერა იგივე ფორუმელების და სხვას როგორ ვურჩიო მათი მხარდაჭერაო. ჩვენი რესპოდენტი მაშინ ძლივს გადაურჩა გისოსებს მიღმა გამომწყვდევას, თუმცა ხუთასლარიანი ჯარიმის გადახდა მაინც დააკისრეს, აქაოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ხაროო. არჩევანის წინაშე დააყენეს მერაბიშვილის ხელქვეითებმა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანი, რომელსაც შემდგომ რთული ოპერაციები დაჭირდა, ან იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა უნდა „ეღიარებინა“, ანდა „კაიფში“ ყოფნა. როცა ოპოზიციური სპექტრის რიგითი აქტივისტები და ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა უდიდეს ზეწოლას და ტერორს განიცდიდა ნაცრეჟიმისგან, ე.წ. ოპოზიციონერი ლიდერები მშვენიერ ურთიერთობაში იყვნენ მმართველ ძალასთან და სერიოზულ დივიდენდებსაც იღებდნენ.





მარტო თბილისი და საქართველო კი არა, როგორც რუსები იტყვიან, მთელი სამყაროა პატარა, ასე რომ არაფერი იმალებოდა და არც ახლა იმალება. ოპოზიციონერების ნაცებთან ჩახუტება განსაკუთრებით 2008 წლის საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოჩნდა, ხშირად მოისმენდით, „ფორუმის“ ლიდერ-შიფი „გაიყიდაო“, ერთ-ერთ „სპონსორად“ გურგენა დონაძისა და პოლიცმაისტერ მერაბიშვილის ერთობლივი კომპანია,, ეკოფუდსაც’’ ასახელებდნენ. სულ უფულობაზე წუწუნებენ პარტიის ლიდერები, ამ დროს ძვირადღირებული ავტომანქანებით დასეირნობენ, გუბაზ სანიკიძე ისეთი შავი,, ჯიპის’’ საჭესთან ზის, ასეთი ძვირადღირებული ავტომანქანა თბილისში თითზე ჩამოსათვლელი თუ დადისო. ერთმა შვილმოკლულმა მამამ, რომელსაც უსინდისოდ ცინცლავდნენ ფულებს ეს „პატიოსანი“ ოპოზიციონერები, სანიკიძის „გაპრავება“ სცადა, თავისი არ არის მეგობრისაა, რომელსაც ერთმა ცნობილმა გაპარლამენტარებულმა ბიზნეს-ლედიმ აჩუქაო. ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, სხვათა შორის, ეს ქალბატონიც ნაცების „კოჰორტის“ წარმომადგენელი იყო.

ნაციონალებსა და გუბაზ-„უშიშარს“ შორის დიდი სიამტკბილობის არსებობას, ამ უკანასკნელის განცხადებაც მოწმობდა, სადაც თავგამოდებით იცავდა დედაქალაქის მაშინდელ მერს გიგი უგულავას, ამ „პატიოსან“ კაცს ავიწროებენ, მის ინტერესში სულაც არ შედის „მარშრუტკებით“ მგზავრობის გაძვირებაო. მაშინაც დავინტერესდით და ახლაც ვლამობთ იმის გაგებას, ვის ინტერესში იყო ნაგვის და წყლის გადასახადის დენის გადასახადზე მიბმა, ან საბავშვო ბაღების გაძვირება, ამ მიმართულებითაც ხომ არ ავიწროებდნენ უგულავას. ვისაც სკლეროზი არ აწუხებს, ახლაც გვახსოვს როგორ უარყოფდნენ ხოლმე „ფორუმის“ აბსურდული ბრალდებებით დაჭერილ თანაპარტიელებთან თუ მხარდამჭერებთან რაიმე კავშირს, საერთოდაც ძალზე ასაიდუმლოებდნენ მათი დაჭერის ამბებს, ეტყობა მერაბიშვილის იმიჯის „შელახვას“ ერიდებოდნენ. 2011 წლის მაისის ცნობილი აქციების დროს, თელავის რაიონში ერთ-ერთი თანაპარტიელის დაკავების შესახებ მაშინ შეიტყვეს, როცა ამ კაცს სამთვიანი (სასჯელის მაქსიმუმი) ადმინისტრაციული პატიმრობა უკვე მოხდილი ჰქონდა. აკაკი ასათიანის ავტორიტეტის შესახებ კარგად მოგეხსებათ, მაგასთან,, ჩახუტებამ’’ ბოლომდე გაანადგურა პარტიის ისედაც დამცრობილი რეიტინგი, რომ ვკითხეთ ხელმძღვანელობას, რაში ჭირდებოდათ ეს პოლიტიკური ქამელეონი, კაკო ასათიანი ჯო ბაიდენს იცნობს კარგად და მასთან კავშირი მომგებიანიაო. ცნობისთვის, როგორც ფორუმელებს წაადგათ ბაიდენის პერსონა პოლიტიკურ ზეაღსვლაში, ბიძინა ივანიშვილს რომ არ შეეტანა ეს კონტიგენტი პარლამენტში, საკუთარი ყურებივით ვერ იხილავდნენ პარლამენტარის სავარძელს, ისე წაადგება საქართველოს დანარჩენ, ხბოსავით აკუნტრუშებულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, როგორც თვითონ უყვართ თქმა. სხვათა შორის, ეს საქართველოს გამმარჯვებლობაზე პრეტენზიის მქონე გუბაზ სანიკიძეა, რომელიც დანარჩენ ლიდრებეთან ერთად არწმუნებდა თანაპარტიელებს, რომ „სახალხო კრებიდან“ კი გავედით, მაგრამ საპროტესტო აქციებში მაინც მივიღებთ მონაწილეობასო. ნუკრი ქირიას განცხადებით, პარტიის წევრები განსაკუთრებით იმან გააღიზიანა, რომ „ბოსები“ არ მიბრძანდნენ აქციებზე, რომელიც ბოლოს, 26 მაისს სასტიკად დაარბიეს. უამრავი ფორუმელი მონაწილეობდა აქციებში, დარბევაშიც მოვყევით, დიდი მოლოდინი გვქონდა, რომ ლიდერები მოვიდოდნენ, მაგრამ არ მობრძანდნენ, მერე კი იწონებდა თავს გუბაზ სანიკიძე, რომ 26 მაისის აქციაზე ყველაზე მეტი ფორუმელი იყო, მაგრამ ამას თავის დამსახურებად ნუ ჩათვლისო. გუბაზ-ბატონო, 2019 წლის 20 ივნისს, ოპერატიულად რომ მიძანძალდი პარლამენტის წინ და მერე „პლასტინკა“ გადააბრუნე, რომ თურმე მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეებს აშორებდი ერთმანეთს სხვა „პატრიოტებთან“ ერთად, 26 მაისს რატომ არ მიხვედი პარლამენტის წინ? წინასწარ გქონდა გაფრთხილება მიღებული რომ აქციას უსასტიკესი მეთოდებით დაარბევდნენ, თმის ღერი არ გინდოდა ჩამოგვარდნოდა, თუ ისედაც იცოდი, რომ ნაცჯალათები ხალხს არ დაინდობდნენ და პრობლემა არ შეუქმენი შენს „პატიოსან გვამს“? რა უშიშარი, ვითარცა უხორცოც ხარ, მაგედან ჩანს, მოქმედი ხელისუფლება რომ არ გაიმეორებდა ნაცჯალათების მეთოდებს, ეს კარგად იცოდი და ხაფი ხმით გაჰყვიროდი, მაგრამ, როცა მელიას წაქეზებით „პატრიოტები“ უმართავები გახდნენ და სამართალდამცავები იძულებული გახდნენ ძალა გამოეყენებინათ, საფრთხის დანახვისთანავე უკანმოუხედავად მოკურცხლე. „გასამართლებელი“ მიზეზიც გქონდა „რადიკალ“ ოპოზიციონერს, პოლიციამ ძალის გამოყენებით გაგიყვანა თორემ, ფრონტის ხაზს როგორ დატოვებდი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# თავისუფლებით გაგიჟებულნი



1968 წლის გერმანული მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი იყო ბავშვების სექსუალური განთავისუფლება.ზოგის თქმით ეს იყო ყველანაირი სექსუალური შეზღუდვა-აკრძალვის გადალახვა და შექმნა ატმოსფეროსი სადაც და როდესაც პედოფილიაც კი ჩაითვლებოდა პროგრესულ რამედ. 1970 წლის გაზაფხულზე ფილოლოგიის დოქტორმა ურსულა ბესერმა თავისი ბინის კართან იპოვა რაღაც უცნობი პატარა ჩანთა. იმ დროს ჩვეულებრივი რამე იყო კართან რაღაცის დადება ან ფოსტის ყუთში წერილების ჩალაგება. ბესერი გახლდათ ბერლინის პარლამენტის წევრი კურირებდა განათლების კომიტეტს(ქრისტიან-დემოკრატიული პარტია) მას ჰქონდა უსამართლობასთან მებრძოლის რეპუტაცია. ჩანთაში იყო ქაღალდები ყოველდღიური ანგარიშები ბერლინის კვარტალი კროისბერგის სკოლის გახანგრძლივებული დღის ცენტრში საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. ამ ცენტრში ნაშუადღევიდან მოყოლებული ანათლებდნენ რვიდან თოთხმეტ



წლამდე ბავშვებს. ქაღალდების უბრალო გადახედვამაც აჩვენა სკოლის გახანგრძლივებული დღის ცენტრში სწავლა-განათლება რბილად რომ ვთქვათ საინტერესო იყო. ცენტრის მიზანი იყო ბავშვების გადაქცევა „ სოციალისტ პიროვნებებად“. პროგრამაში იყო აგიტაცია-პროპაგანდა ვითარებაზე ვიეტნამში და „ქუჩის ბრძოლები“ სადაც ბავშვები დაყოფილები იყვნენ „ შტუდენტებად“ და „ პოლიციელებად“. აღმზრდელთა შენიშვნებში ნათქვამია რომ ისინი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სექსუალურ აღზრდას. თითქმის ყოველ დღე მოწაფეები თამაშობდნენ და თამაშ-თამაშ ტიტვლდებოდნენ, ერთად კითხულობდნენ პორნოჟურნალებს და იყო სექსუალურ ურთიერთობათა პანტომიმა. არქივების თანახმად მათ მოაწყვეს „ სექსუალური ვარჯიში“ და შემდეგ „ საათის კახპა“. სწავლის დაწყება იკითხება ასე: „ წამოწოლით ჩვენ მრავალჯერ ღიად თუ ფარულად გამოვიწვიეთ სექსუალური ჩაგონებები რომლებიც შემდეგ დაბალ მაგიდაზე პანტომიმით ჩვენს წინ როგორც სცენა გამოხატეს კურტმა და რიტამ.“ბავშვების სექსუალური განთავისუფლება. ამ სტუდენტური მოძრაობის ქვეპროდუქტი წარუდგინეს ფართო საზოგადოებას. დადასტურდა რომ სკოლის ცენტრის უკან იყო ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტმა შექმნა ცენტრი და დანიშნა იქ მოსამსახურე აღმზრდელები. ბესერი ფიქრობდა, რომ სწორედ ცენტრის შეშფოთებულმა თანამშრომელმა დატოვა მის კართან ანგარიშები. რამოდენიმე დღის შემდეგ ბესერი მივიდა ბერლინის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში რათა თავისი თვალით ენახა თუ რა ხდებოდა იქ. იქ მან ნახა საგანგებოდ მოწყობილი სარდაფი სადაც ინსტიტუტის თანამშრომლის თქმით აკვირდებოდნენ ბავშვების სექსუალურ ქცევას. სამოცდაათიანელების მოძრაობის წევრებს და მათ მემკვიდრეებს აეკვიატათ ბავშვთა სექსუალობის იდეა და თემა... მოძრაობის ისტორიის ამ თავზე ხმას არ იღებენ იმ ხანის მეხოტბეები. ეს ამბავი თითქოს სულ გადაავიწყდათ 1960-ანი წლების ბოლოს სტუდენტური მოძრაობის ძველ აქტივისტებსაც. არა და სტუდენტური რევოლუციის ამ ასპექტის ანალიზი ნამდვილად სასარგებლო იქნება. კათოლიკე სამღვდელოების პედოფილიაზე ბევრს ლაპარაკობენ, არადა ბავშვობის ეროტიზაცია და ტაბუ-აკრძალვების მოსპობა დაიწყეს პროგრესისტებმა. ამ ცვლილებებმა შესაძლებელი გახადეს სექსუალური ურთიერთობები ბავშვებთან. საერო არარელიგიურ პანსიონატში მომხდარმა ამბებმა აჩვენეს რომ მოწოდებები რეფორმისკენ დაკავშირებული იყო აკრძალვის მოხსნასთან. მემარცხენეებს აქვთ თავის უწესობათა და უკანონობათა ისტორია, ის უფრო რთულია ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს. როდესაც სამოციანი წლების სტუდენტური მოძრაობის ყოფილ წევრს ეკითხებით ამის თაობაზე ისინი ორაზროვნად გპასუხობენ ან სულაც თავს არიდებენ პასუხს. ჩუმდებიან. სექსუალური რევოლუცია იყო ახალგაზრდა რევოლუციუნერების ყურადღების ცენტრში. ამ რევოლუციონერებმა ფრთები 1967 წელს გაშალეს. სოციალური რევოლუციონერები ამტკიცებდნენ, რომ სექსუალური წადილის კონტროლი იყო ბატონობის იარაღი რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება იყენებდა თავისი ძალაუფლების დასაცად. რადიკალ სტუდენტებს სწამდათ, რომ ნამდვილად თავისუფლები არიან მხოლოდ სექსუალური ჩაგვრა-რეპრესიისგან თავისუფალნი. სექსუალური რევოლუციონერების აზრით სექსუალური რევოლუცია უნდა დაწყებულიყო რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან, ლამის აკვნიდან, როგორც კი გაჩნდებოდა სექსუალური გრძნობების თუნდაც ბუნდოვნად და შორეულად მსგავსი რამე.

დიდად საინტერესოა პარ ღოწოჰლტ-ის მიერ 1971 წელს გამოქვეყნებული და სწრაფად ბესტსელერად გადაქცეული ნაშრომი „ რევოლუცია განათლებაში“, რომელიც სექსუალობაზე ლაპარაკობს ასე: ოჯახური ცხოვრების დეზეროტიზაცია, ბავშთა აქტივობის და ინცესტის ანუ მშობლების შვილებთან და და-ძმის ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობების აკრძალვა არის მომზადება ტოტალური ასიმილაციისთვის, სექსუალური სიამოვნებისადმი სკოლაში მტრული დამოკიდებულებისთვის, ადამიანობის წამრთმევი შრომის სისტემისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებისთვის. „ კულტურული“ ჟურნალი Kურსბუცჰ-ის 1969 წლის მე-17 ნომერი პრაქტიკულად აღწერს ამ სექსუალურ რევოლუციონერთა პოზიციას. გერმანელი ავტორი ჰანს ენზენბერგერის მიერ გამოქვეყნებულ ამ ნომერში არის ბერლინის კომუნა 2-ის წევრების მიერ დაწერილი ანგარიში „ ბავშვების აღზრდა კომუნაში“ .1967 წელს 3 ქალი და 4 კაცი დაბინავდა ძველი სახლის ბინაში. მათთან ერთად იყო ორი პატარა ბავშვი, სამი წლის გოგონა და 4 წლის ბიჭუნა. მცხოვრებთა აზრით თანაცხოვრებას უნდა მოესპო ისეთი ბურჟუაზიული საშინელებები როგორებიცაა განსხვავებული საბანკო ანგარიშები, სააბაზანოთა ჩაკეტილი კარებები, მეუღლეთა თუ ერთად მცხოვრებთა ერთგულება ერთმანეთის მიმართ, და სირცხვილის გრძნობა, ორი ბავშვი აღზარდა ჯგუფმა, რაც ნიშნავს იმას რომ ხშირად ბავშვებს არავინ აქცევდა ყურადღებას. სრულწლოვანთა მიზანი იყო ბავშვების სექსუალობის გამოვლენა-განვითარება და არა მარტო მოთმენა. სრულწლოვანები არ უნდა ყოფილიყვნენ მარტო პასიური დამკვირვებლები.ამ კომუნის წევრები წერილობით აღწერდნენ თავის ექსპერიმენტებს და გამოცდილებას. ამიტომ არის ზოგი შემთხვევის აღმწერი სანდო ტექსტები. (რომლის გამოქვეყნებიდან თავს შევიკავებ, იმდენად ამაზრზენია...) აღნიშნულმა ქმედებამ ეხლა აღაშფოთა 1947 წელს დაბადებული საინტერესო ესპანელი ფილოსოფოსი, აქტივისტი, მწერალი, მთარგმნელი, პროფესორი ფერნანდო სავატერი ის თავის კვლევაში „ ბაშვთა მონობა“ წერს:„ მილიონობით ბავშვი დაუცველია და ისინი სრულწლოვანებში ხედავენ უდიდეს საფრთხეს რომელიც მათ აძალებს მუშაობას ან პროსტიტუციას. ესაა კაცობრიობის ცოდვა“. სამწუხაროდ, პროგრესისტს აღარ ესმის თუ რაა ცოდვა და ის განაგრძობს თავის „ მოღვაწეობას“.

დღევანდელი ” თავისუფლებით ” გაგიჟებულები ძალიან შორს მიდიან...24 წლის კაცმა 21 წლის ქალი შემთხვევით დაკლა დანით სადომაზოხისტური სექსის დროს. შეფილდის სასამართლომ(ინგლისის ჩრდილოეთით) ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯა 24 წლის ჯეისონ გასკელს მას შემდეგ რაც მან აღიარა რომ უგულისყურობის გამო შემოაკვდა 21 წლის ლაურა. მოსამართლემ ფაქტი შეაფასა როგორც უაღრესად უჩვეულო რამ. სასამართლოს პროცესში აქვითინებულ მკვლელს მოსამართლემ უთხრა: „ უბრალო სიტყვებით თქვენ კისერში დანის დარტყმით არალეგალურად მოკალით ქალი რომელთანაც გქონდათ სექსუალური ურთიერთობები უცნაური და მოძალადე სადომაზოხისტური სექსუალური აქტივობის დროს. თქვენ არ გქონდათ ეს ჩაფიქრებული, მაგრამ ქალის მოკვლის საფრთხე იოლად აღსაქმელი იყო“. პოლ ფრანსუას კვლევაში ევროპის ქვეყნებში მომხდარ უამრავ ფატალურად დამთავრებულ სადომაზოხისტურ ფაქტს განიხილავს...აღმოსავლეთ ევროპაში კონსერვატულ რევოლუციაზე საინტერესო ხედვა აქვს ჰანი არენდტის ინსტიტუტის დამაარსებელს, ფრანგ მწერალს, ფილოსოფოსს, 2007 წლიდან მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრს შანტალ დელსოლს. კვლევაში „თანამედროვეობა-პოსტთანამედროვეობა და ცენტრალური ევროპის ჯანყი მის წინააღმდეგ“იგი მოგვითხრობს, რომ საგიჟეთად ქცეულ დღევანდელ მსოფლიოში, ცენტრალური ევროპის ქვეყნები ჯანყდებიან ევროკავშირის მიერ დაძალებული თანამედროვეობის წინააღმდეგ. არსით ესაა ბრძოლა მატერიალიზმთან, ზნე-ჩვეულებათა დეკადანსთან ანუ უზნეობასთან, ექსცესიურ, მეტისმეტ უნივერსალიზმთან.



ჰანს ენცენსბერგერი



შანტალ დელსოლი



ფერნანდო სავატერი

საით წავიდა დასავლეთი? რა არის პოსტ-თანამედროვეობა პოსტმოდერნიზმი როგორ გადავედით თანამედროვეობიდან პოსტთანამედროვეობაზე? ღრმა საზოგადოებრივი მუტაციის ფილოსოფიური ახსნა:

თანამედროვეობა ნამდვილად ჩნდება განმანათლებელ ფილოსოფოსებთან ერთად. მათ იღრიალეს რომ „ ადამიანია ყველაფრის საზომი“ (ჰუმანიზმი). ეს თანამედროვეობა უარყოფს ინდვიდის გარეთ და მაღლა არსებულ ავტორიტეტს და ტრადიციას, ცვლის მათ გონებით, რაციო-რაციონალიზმით და მეცნიერებით. ის არაფრად აგდებს და უარყოფს ღმერთს და რელიგიას. თანამედროვეობის სულისკვეთების თანახმად ცოდნა მისაწვდომია ადამიანისთვის. ცოდნა სარწმუნოა, ობიექტურია, კარგია და მას აუცილებლად მივყავართ პროგრესისკენ, თანამედროვე ადამიანს აბსოლუტურად სწამს თავისი რაციონალური უნარებისა. დაკვირვებით, გამოცდილება-ექსპერიმენტით და აზროვნებით ყოველ ადამიანს შეუძლია ჭეშმარიტების აღმოჩენა. სკოლა არის საწყისი მშობლიური გარემოდან გასვლის, მისთვის ზურგის შექცევის ადგილი. გრძნობა და რაციონალობა თითქოს უპირისპირდება ერთმანეთს. მაგრამ უწყვეტი პროგრესის რწმენა შეარყია მსოფლიო ომებმა, ჰოლოკოსტმა, მასობრივი მოსპობის საშუალებათა, ქიმიური, ბირთვული და ასე შემდეგ იარაღის გავრცელებამ, ბუნებრივი გარემოს გადაგვარებამ, გამოყენებული ტექნოლოგია ადამიანობას ართმევს ადამიანს. გონება აღიქვეს როგორც ძალის და ბატონობის, ინდივიდის, მისი გრძნობების და ფანტაზიის, მისი ინტუიციის... მოგუდვის ინსტრუმენტი. თანამედროვეობის ოპტიმიზმი გაქრა, მისი ადგილი დაიკავა იმედგაცრუებამ და ილუზიების დაკარგვამ. პოსტთანამედროვეობა წარმოდგება როგორც თანამედროვეობის უარყოფა და დაძლევა. თანამედროვეობამ გააუფასურა და აბუჩად აიგდო რელიგია, სამშობლო, ტრადიცია და გააკერპა გონება რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ცოდნა. აი გონების მარცხის შემდეგ იწყება პოსტთანამედროვეობა გონების მარცხმა ძირი გამოუთხარა პროგრესის ცნებასაც. „ ყოველ ინდივიდს აქვს თავისი ჭეშმარიტება“. ეს გამოთქმა შესანიშნავად ახასიათებს პოსტთანამედროვეობას. მოსპეს საერთო რწმენა, რელიგია, საერთო წარმოდგენები, დაკარგეს საერთო ჭეშმარიტება, გათითოკაცდნენ და ჩაიკეტნენ თავ-თავის პაწაწა ჭეშმარიტებებში.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983